ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 9 სექტემბერი, 2019 №213 (8167) ფასი: 60 თეთრი

თარხნიშვილის ქუჩაზე დალი ჩიტალაძის შვილი დაჭრეს

გვ.5

საქართველოს ახალი მთავრობა ჰყავს

ნიკა მელია: „ივანიშვილი და თქვენ ქვეყანას აბრუნებთ რუსული გუბერნიის მფლობელობაში“

გვ.2

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ბრძოლას გავაგრძელებთ ბოლომდე, სანამ გიორგი გახარია თანამდებობას არ დატოვებს!“

გვ.3

2020 წლამდე ძალიან მძიმე გზა გვაქვს გასავლელი

თორნიკე შარაშენიძე: „ღარიბაშვილი ივანიშვილის მორჩილებაში რეკორდებს ხსნის“

გვ.4

„ოცნებამ“ გახარიას გაპრემიერებას მხარი სრული უმრავლესობით დაუჭირა. გასაგებია, რომ რასაც ჩასძახებენ, იმასვე ამოსძახებენ

გვ.4

გურამ ჩალაგაშვილი გახარიას მიმართავს: „გავრილოვის ღამის“ ყველაზე დიდი დამნაშავე ირაკლი ოქრუაშვილია?“

გია ხუხაშვილი: „ამ მინისტრთა კაბინეტს დავაწეროთ სათაურად — ძალაუფლების შენარჩუნების მცდელობის კაბინეტი“

გვ.4

ბაჩუკი ქარდავა: „ივანიშვილმა საქართველოში რუსული მთავრობა ოფიციალურად გააფორმა“

გვ.4

სამართალი გვ.5

35 წლის შ.ს.-მ მშობიარობის შემდეგ ახალშობილი, სავარაუდოდ, ნაგავში გადააგდო

სოფო კილაძე: „ნიკა გვარამია თუ დამნაშავეა, უნდა დაისაჯოს!“

„ინტერმედია პლუსის“ დირექტორ ზურაბ იაშვილს 50.000-ლარიანი გირაო შეეფარდა

ISSN 1987-9385

3 მიხეილ სააკაშვილი: „ის, რასაც ივანიშვილი და პუტინი გვიკეთებს, არის საქართველოს კადიროვიზაცია“

6 ბელორუსი მოსკოვისაგან კომპენსაციას მოითხოვს

2 პარლამენტის წინ პოლიციამ სამი პირი, მათ შორის ბექან გუნავა დააკავა

6 უკრაინელი ტყვეები გაათავისუფლეს

საქართველოს ახალი მთავრობა ჰყავს

გუშინ, 8 სექტემბერს, პარლამენტმა მთავრობის განახლებულ შემადგენლობას ნდობა ერთხმად გამოუცხადა.
მთავრობას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ცვლილებები განხორციელდა ძალოვან ბლოკშიც.

პარლამენტმა ნდობა შემდეგი შემადგენლობის მინისტრთა კაბინეტს გამოუცხადა:

პრემიერ-მინისტრი – გიორგი გახარია;

თავდაცვის მინისტრი – ირაკლი ღარიბაშვილი;

შინაგან საქმეთა მინისტრი – ვახტანგ გომელაური;

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი – მიხეილ ბატიაშვილი;

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი – ლევან დავითაშვილი;

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი – ნათია თურნავა;

იუსტიციის მინისტრი – თეა წულუკიანი;

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი – ეკატერინე ტიკარაძე;

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი – მაია ცქიტიშვილი;

საგარეო საქმეთა მინისტრი – დავით ზალკალიანი;

ფინანსთა მინისტრი – ივანე მაჭავარიანი;

სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში – ქეთევან ციხელაშვილი.

მანამდე იყო საპროტესტო აქცია პარლამენტის გარეთ.

აქციის მონაწილეებმა პერფორმანსი მოაწყვეს და პარლამენტის შენობასთან უმრავლესობის ივანიშვილისადმი უტყვი მორჩილების ნიშნად ცხვრები მიიყვანეს.

კენჭისყრაში არ მონაწილეობდა ოპოზიცია.

„ოცნების“ მხრიდან კი იყო პრემიერობის კანდიდატის მისამართით დითირამბები და მოწოდებები, რომ დაასრულოს ოპოზიცია.

გიორგი გახარიას მიერ პარლამენტისთვის წარდგენილმა მინისტრთა კაბინეტმა და სამთავრობო პროგრამამ 98 დეპუტატის მხარდაჭერა მიიღო.

ნიკა მელია: „ივანიშვილი და თქვენ ქვეყანას რუსული გუბერნიის მფლობელობაში აბრუნებთ“

პარლამენტის შენობას პოლიციელთა კორდონი იცავდა.

დეპუტატმა ლევან გოგიჩაიშვილმა განხილვის დაწყებამდე პარლამენტის თავმჯდომარესა და მინისტრობის კანდიდატებს მიმართა.

მან განაცხადა, რომ პარლამენტში საპოლიციო რეჟიმი მიუღებელია.

– რაც ამ ორი დღის განმავლობაში საპოლიციო რეჟიმი მოქმედებდა პარლამენტში ეს არის მიუღებელი. ადამიანებს, რომლებსაც აქვთ პრეტენზია, მართონ ქვეყანა იმის უნარიც უნდა ჰქონდეთ, რომ რამდენიმე აქტივისტის პროტესტი მოისმინონ. ამის მიუხედავად, 2 დღის განმავლობაში აკრძალული მქონდა საშვის გაცემა, რომ შემომეშვა პარლამენტში ადამიანები. ამას ჰქვია პოლიციური რეჟიმი. ეს დემოკრატია არ არის, არც საპარლამენტო ცხოვრებას უხდება დაც მთავრობის დამტკიცებას. შეიარაღებული ძალების გარემოცვით ხდებოდეს ეს დაუშვებელია. პარლამენტში შემოსვლა ყველას შეუძლია და ნუ შეგვზღუდავთ ჩვენი მოვალეობის შესრულებაში. ეს ქმნის ქვეყანაში პრობლემებს და კანონის უზენაესობას ეს აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ, – განაცხადა გოგიჩაიშვილმა.

გუშინდელი სხდომა ნიკა მელიას მოულოდნელმა გამოჩენამ გამოაცოცხლა. როგორც ცნობილია, 20-21 ივნისის მოვლენების გამო ნიკა მელია შინაპატიმრობაში იმყოფება. მან ფრაქციის სახელით მინისტრობის კანდიდატებს მიმართა:

– მტკივნეულია ამის მოსმენა, მაგრამ ფაქტი, ივანიშვილის მეშვეობით და თქვენ ივანიშვილის მეშვეობით, რაღა მნიშვნელობა აქვს, ერთნი ხართ და ერთ მიზანს ემსახურებით, კიდევ ერთხელ ფეხქვეშ თელავს ქართულ სახელმწიფოს, მის ღირებულებებს, კონსტიტუციას, ინსტიტუ-

ტებს, დაწერილ თუ ტრადიციულ კანონებს, მოქალაქეობრივ უფლებებს, მაგრამ ყველაზე უფრო მთავარს თელავთ ფეხქვეშ – იმ მრავალსაუკუნოვან ერთობლივ მონაპოვარს ჩვენი საერთო სამშობლო ჰქვია. დიახაც, თელავთ იმ სამშობლოს, რომელიც დამოუკიდებელი უნდა იყოს მხოლოდ და დამოუკიდებლად უნდა მოიხსენიებოდეს, ივანიშვილი და თქვენ აბრუნებთ რუსული კოლონიისა და გუბერნიის მფლობელობაში, დიახაც, აბრუნებთ იქ, საიდანაც, გამოვედით და გამოვაღწიეთ დიდი ტკივილით, გმირობებით, მსხვერპლით და მაინც მთავარი გამარჯვებით. გამოვაღწიეთ იმ გამარჯვებით, რომელიც მრავალსაუკუნოვანია, რომელიც ამ დარბაზში დაგვირგვინდა, როდესაც ზვიად გამსახურდიამ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ ამცნო მთელ ქვეყანასა და მთელ მსოფლიოს.

როგორ ხდება, როცა ამდენი მოღალატე არსებობს საქართველოს ისტორიაში და საუკუნეებს გამოუვლია... მე მესმის, არის მწარე სიმართლე, სიმართლე, რომელიც ზოგჯერ თვალსაც კი გვთხრის, მაგრამ თქვენ კიდევ გაქვთ შანსი, გამოასწოროთ და დადგეთ იქ, სადაც ისტორიულად უნდა დგებოდეს პატრიოტი ადამიანი.

დიახაც, ნათელი და თავისუფალი საქართველოა ჩვენი მომავალი და არა ის უბნელესი აწმყო, რომელიც გიკავიათ თქვენ. ჩვენ ვაგრძელებთ ისტორიას, ისტორიამ თქვენ უკვე ადგილი გამოგიყოთ და ეს არის გავრილოვი და კრემლი. ჩვენიც უცხადესია, ამ ქვეყნის მნიშვნელოვანი წარსული და ამ ქვეყნის დამოუკიდებელი მომავალი.

ძალიან ბევრი რამ შემეძლო მეთქვა, მაგრამ ამის თქმა მინდა მხოლოდ და ვნახოთ, გამოწვევა თქვენ მიიღეთ ქართული სახელმწიფოსგან. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, არ დავიზარებ, არც ერთ საქართველოს მოქალაქეს მრავალსაუკუნოვანი ქვეყნის ისტორიის მანძილზე არ უთქვამს, რომ მოღალატეა, ან რა მნიშვნელობა აქვს, ნებსით თუ უნებლიეთ მოღალატეობრივი აქტი ჩაიდინა, საუკუნეებმა გაუძლო მათ რეალურ ნაბიჯებს, რადგან ეს თქვენ იცით მშვენივრად.

რაც არ უნდა ეცადოთ და ხელი შემიშალოთ ჩემი სიტყვის წარმოთქმაში, ჩვენი ბრძოლა გრძელდება და კიდევაც გავიმარჯვებთ. გავიმარჯვებთ, მაგრამ თქვენი ადგილი რჩება ისტორიის უბნელეს მხარეს, თქვენი ადგილი რჩება ციციანოვ-ერმოლოგთან, თქვენი ადგილი რჩება ცხაკაია-ორჯონიკიძესთან, თქვენი ადგილი რჩება როდიონოვ-ლებედთან, თქვენი ადგილი რჩება გავრილოვ-პუტინთან, თქვენი ადგილი რჩება ჩახალიან-სკრილიკოვთან, ივანიშვილ-გახარიას ანაბარა გრძელდება საქართველოს ისტორია და თქვენ ამ ისტორიაში თქვენ თვითონ განსაზღვრეთ საკუთარი თავის როგორობა.

თქვენი ადგილი საქართველოს ისტორიაში არ არის ნათელ და სწორ ადგილას, თქვენი ადგილი არ არის მორალურად სწორ მხარეს. რა თქმა უნდა, თქვენი ადგილი ისტორიაში იქნება, მაგრამ სხვა ადგილას, რომლის თაობაზე მე უკვე ვისაუბრე. დიახ, თავისუფლებისთვის ბრძოლის მთავარი ანტიგმირები ხართ თქვენ დღეს და ეს არ უნდა გეწყინოთ, მეც ბედნიერი ვიქნებოდი, ამ სიტყვების წარმოთქმის აუცილებლობა რომ არ მქონოდა, – განაცხადა ნიკა მელიამ პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას.

„ჩვენ პერსონალურად არავის ვერჩით, მაგრამ ასეთ პოლიტიკურ კულტურას დავასრულებთ და ამაში ჩვენ მოგვეხმარებიან ჩვენი ამომრჩეველი და ჩვენი მოქალაქეები“

კენჭისყრის შემდეგ კომენტარი პრემიერმა გახარიამ გააკეთა:

– მე, პირადად, ჩვენი მთავრობა და ჩვენი ხელისუფლება დიდ პატივს სცემს ამ ქვეყნის თითოეულ ამომრჩეველს, მათ შორის ოპოზიციის ამომრჩეველსაც და ეს ფაქტია, ჩვენ მათ ვესაუბრებით. მათი პატივისცემით ჩვენ დავდექით და დეტალურად ვუპასუხეთ თითოეულ შეკითხვას მაშინ, როდესაც მინისტრების მოსმენის დროს ჩვენმა კოლეგებმა არც იკადრეს უბრალოდ დისკუსიაში შემოსვლა. მაშინ, როდესაც ნაციონალური მოძრაობა უბრალოდ გაიქცა დარბაზიდან, მოკურცხლა ჩვეულებრივად საპარლამენტო დარბაზიდან დებატებში შემოსვლის შიშის გამო. მათ ჯერ თქვეს ერთი დიდი ტყუილი, 20 ივნისს დაზარალებული ახალგაზრდა ადამიანი გამოიყენეს, ტყუილი თქვეს და შემდგომ გაიქცნენ სხდომათა დარბაზიდან. ეს გააკეთა ნაციონალურმა მოძრაობამ. „ევროპულმა საქართველომ“ უფრო დიდი სასწაული გააკეთა.

მათ, უბრალოდ, ხელში ჩაიგდეს მიკროფონი და კითხვაზე პასუხის გაცემის უფლება არ მომცეს. თქვეს, ახლა ჩვენ თუ მოგვეწონება, რასაც გვეტყვითო, მაშინ ჩაგირთავთ მიკროფონსო და თუ არ მოგვეწონება, არ ჩაგირთავთო.

მე მართლა ვერ ვხედავ, რა განსხვავება იყო ამ პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში გავრილოვსა და სერგი კაპანაძეს შორის. სერგი კაპანაძე არის ჩვეულებრივი ქართველი გავრილოვი. განსხვავება იქ არაა, იმიტომ, რომ ადამიანმა, რომელსაც ჰქვია „ევროპული საქართველო“ და რომლებიც გველაპარაკებიან ევროპულ დემოკრატიულ ფასეულობებზე, აი, ასე იჯდა მიკროფონთან და უყურებდა, გიგა ბოკერია როდის მისცემდა ბრძანებას, რომ „ჰნოკისთვის“ დაეჭირა ხელი და გამოეთიშა. ჩემთვის ეს მიუღებელია, სწორედ ამიტომ ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ – ჩვენ პერსონალურად არავის ვერჩით, მაგრამ ასეთ პოლიტიკურ კულტურას დავასრულებთ და ამაში ჩვენ მოგვეხმარებიან ჩვენი ამომრჩეველი და ჩვენი მოქალაქეები, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

პარლამენტის წინ პოლიციამ სამი პირი, მათ შორის ბეჟან გუნავა დააკავა

გუშინ, 8 სექტემბერს, პარლამენტის წინ აქციაზე პოლიციამ სამი პირი, მათ შორის ბეჟან გუნავა დააკავა. სიტუაცია ადგილზე მას შემდეგ გამწვავდა, რაც პარლამენტის წინ აქცია „სირცხვილიას“ გასაპროტესტებლად ბეჟან გუნავა და „პატრიოტთა ალიანსის“ მხარდამჭერები მივიდნენ. ბეჟან გუნავა და მისი მხარდამჭერები პოლიციის კორდონის გარღვევასა და ტერიტორიიდან „სირცხვილიას“ აქციის მონაწილეების გაძევებას ცდილობდნენ.

დაპირისპირების დროს გუნავასა და სამართალდამცველებს შორის შელაპარაკება მოხდა.

მანამდე გუნავამ ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ აქცია „სირცხვილიას“ მონაწილეები „დაქირავებული ერის მოღალატეები“ არიან.

– ამათი ადგილი არ არის რუსთაველზე. არანაირი კონტრაქცია არ არის, უბრალოდ, რუსთაველი არის ის გამზირი, სადაც ერის ბედი წყდებოდა, სადაც ერის მამები და ეროვნული მოძრაობა იყო. ეს ერის გამყიდველები, რომლებმაც აფხაზეთი და სამაჩაბლო ჩააბარეს, ასიათასობით ადამიანს ქონება წაართვეს, ქუჩაში ბავშვები დახვრიტეს, პირადად მე გამისწორდნენ, ჩვენ ამათ აქედან გავაძევებთ, – განაცხადა გუნავამ.

საპატრულო პოლიციის უფროს ვაჟა სირაძის განმარტებით, პარლამენტის წინ სამივე პირი ადმინისტრაციული წესით არის დაკავებული. ამის შესახებ ვაჟა სირაძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა.

მისივე თქმით, მოქალაქეთა ჯგუფი აგრესიულობით გამოირჩეოდა და არ ემორჩილებოდა სამართალდამცველთა მოთხოვნებს.

– იყო კონფლიქტური სიტუაცია აქციის მონაწილეებს შორის. მოვიდა მოქალაქეთა ჯგუფი, რომელიც გამოირჩეოდა აგრესიულობით, არ დაემორჩილა პოლიციას და მოხდა ადმინისტრაციული წესით დაკავება, – აღნიშნა ვაჟა სირაძემ.

სამივე პირი, მათ შორის ბეჟან გუნავაც, დაკავებულია 166-ე და 173-ე მუხლების დარღვევისთვის.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ბრძოლას გავაგრძელებთ ბოლომდე, სანამ გიორგი გახარია თანამდებობას არ დატოვებს!“

2020 წლამდე ძალიან მძიმე გზა გვაქვს გასავლელი

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს სამოქალაქო აქტივისტი დიმიტრი ბიძინაშვილი პასუხობს.

– გუშინ მთელი დღე საპროტესტო აქციის ფონზე მოუწია პარლამენტს მუშაობა, მთავრობის წევრების მოსმენა. როგორ აფასებთ იმ ყველაფერს, რაც ბოლო პერიოდში ხდება ქვეყანაში და რა ჩაიფიქრა ბიძინა ივანიშვილმა?

– ბიძინა ივანიშვილი დადგა და მოგვიყვა, გახარის ვნიშნავ იმის გამო, რომ მან კარგად შეასრულა დაკისრებული უფლებამოსილებაო. რას ნიშნავს ეს, რა შეასრულა კარგად? 20 ივნისს, როდესაც ახალგაზრდები აპროტესტებდნენ გავრილოვსა და ოკუპაციას, თვალები დასთხარა?! აი, ამის გამო დააწინაურა გახარია თუ იმის გამო, რომ ია კერზაია მოკლა? თუ იმის გამო, რომ 555%-ით გაიზარდა კრიმინალი ქვეყანაში და 18%-ით შემცირდა დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი?! თუ იმის გამო, პირდაპირ ეთერში რომ ვუყურებდით, როგორ ატერორებდნენ ბიზნესმენებს და როგორ სთხოვდნენ ქურდულ წილებს, თუ ვერც ერთი გახმაურებული საქმე რომ ვერ გახსნა გახარიამ, გვითხრან, რის გამო?! ამდენი ხანია, იგი მთავრობის წევრია და ვერც ერთ რეფორმას ვერ დამისახელებთ, რომელიც მან გაატარა და ამით ქვეყანას რაღაცა სარგებელი მოუტანა. მისი გაკეთებული საქმე, უბრალოდ, არ არსებობს და რისი გულისთვის აწინაურებს ბიძინა ივანიშვილი?!

– გახარიამ განაცხადა, გადადგომით მე ვიღაცას დავუდასტურებდი, რომ თავს ვგრძნობ დამნაშავედ და არ ვგრძნობ თავს დამნაშავედო.

– გახარიამ ბევრი სისულელე თქვა და მათ შორის ეგ იყო დიდი სისულელე, რომ თურმე არ გრძნობს თავს დამნაშავედ და არაფერს აღიარებს. აბა იმ ახალგაზრდებს თვალები ვინ დასთხარა?! 40-მდე ჟურნალისტი რომ დაიჭრა და მძიმედ დაშავდნენ, ისინი ცდილობდნენ სადმე შეჭრასა და შევარდნას? თუ რატომ დაჭრეს, რატომ იყო ბრძანება, რომ ყველასთვის ესროლათ, მათ შორის თავში და ამის გამო ის არ არის დამნაშავე?! გახარია არის დამნაშავე და ეს ყველამ კარგად იცის, მათ შორის ბიძინა ივანიშვილმაც. ძალიან კარგად იციან, როგორც კი ჩამოშორდებიან ხელისუფლებას, მაშინვე დაიწყება ამ ადამიანების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა. მათ აუცილებლად მოუწევთ თითოეულ იმ კითხვაზე პასუხის გაცემა, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალე. არ შეიძლება, უბრალოდ ასე ჩაიაროს ამ ყველაფერმა. მათ ამ ყველაფერზე აუცილებლად მოეთხოვებათ პასუხი და ამის გარანტი იქნება ის ჯანსაღი საზოგადოება, რომელიც დღესაც აპროტესტებს მათ დანაშაულებრივ ქმედებებს.

– გახარიამ თქვენზე, აქციის მონაწილეებზე განაცხადა, ეს ახალგაზრდები მართულები არიან და მათ კონკრეტული ძალები იყენებენ საკუთარი ინტერესებისთვისო.

– რატომ ვართ მართულები, ან რას ნიშნავს მართულები? ოკუპაციას რომ ვაპროტესტებთ, ეს ნიშნავს მართულს თუ კერზაიას გარდაცვალება რომ გავაპროტესტეთ, ეს არის მართული პროტესტი, რა, არ უნდა გაგვეპროტესტებინა? თუ 22 წლის თარაშ მუკბანიანის მკვლელი რომ შეიწყალეს და პოლიციის მკვლელობა რომ დღეს სამ წელს აღარ ნიშნავს, ლიცენზია რომ გასცეს პოლიციელების დახოცვაზე, აი, ეს რომ გავაპროტესტეთ, მაგიტომ ვართ მართულები?! გახარია თავად არის მართული. კარგად ვნახეთ, პირველი ვინც მიულოცა მას დაწინაურება.

– ვინ?

– ვინ იყო და გავრილოვი, ადამიანი, რომელიც ჩვენი ქვეყნის მტერია. მან პირველმა მოაწერა ხელი სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას, ის იბრძოდა 90-იან წლებში აფხაზეთში ჩვენ წინააღმდეგ. ის არის ყოველთვის მზად, საქართველოს რაც შეიძლება მეტი პრობლემა შეექმნას და ეს ადამიანი რომ აღტაცებას ვერ მალავს და გახარიას ულოცავს, ხომ უკვე არის რაღაცის საზომი?! თავის თავს მიხედოს. ის არის ბიძინა ივანიშვილის მონა და ორივე ერთად კი – რუსეთის მონა. ისინი არიან რუსეთის ინტერესების გამტარებლები. არც ერთი მათგანის ხმა არ გვესმის ხოლმე, როდესაც საოკუპაციო ხაზს სწევენ, არც ერთი მათგანის ხმა არ გვესმის, როდესაც რამე პრობლემას ქმნიან რუსები. ამ დროს ვირთხებივით არიან შემძვრალი. მხოლოდ მაშინ ლაპარაკობენ, როდესაც მათ ბატონს, ივანიშვილს დაემუქრება საფრთხე. როცა გაუჭირდება ივანიშვილს, მაშინ იცის ხოლმე ასეთი სვლების ჩატარება. ივანიშვილმა დღეს გახარია, ღარიბაშვილი და გომელაური შეკრა ერთად...

– რას აპირებს, რატომ გააერთიანა ეს სამი ოდიოზური ფიგურა?

– ეს სამი ოდიოზური ფიგურა ახლა სჭირდება იმისთვის, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს და ეს ძალაუფლების შენარჩუნება აუცილებლად გამოიწვევს იმას, რომ რეპრესიები დაიწყება ამ ქვეყანაში. გუშინ ყველამ კარგად ვნახეთ, გახარია როგორ ატრიალებდა ხელში ტყვიას. ეს, რა თქმა უნდა, ძალის დემონსტრირება იყო. სწორედ იმ ტყვიას ატრიალებდა, რომლითაც ახალგაზრდებს თვალები დასთხარა.

– ანუ ეს იყო მუქარა, ასე გავაგრძელებთო?

– დიახ, ჩვენ მოვისმინეთ მისი განცხადებაც. აქ მარტო ტყვიის ტრიალი არ ყოფილა, გიორგი გახარიას მთავარი გზავნილი რაც იყო, არ ვიცი, ეს გაბრაზებულზე წამოსცდა თუ მიზანმიმართულად თქვა, მან განაცხადა, ჩემი მთავარი ამოცანაა ოპოზიციის დასრულებაო. ამ ადამიანს ეტყობა, რომ რამე დოვლათის შექმნას აპირებს ქვეყანაში?! რა თქმა უნდა, არა. ის იქნება გარანტი იმისა, რომ ოპოზიციას რაც შეიძლება მეტი რეპრესიული მანქანის წინ მოუწიოს გასვლა და იმ ადამიანებს, რომლებიც მათ წინააღმდეგ ამოიღებენ ხმას, ყველას მიაკითხავენ. მისი გამოსვლაც სწორედ ამის დასტური იყო.

– გამოდის, რომ საკმაოდ მძიმედ მივალთ 2020 წლამდე?

– დიახ, 2020 წლამდე ძალიან მძიმე გზა გვაქვს გასავლელი. ჩვენც, ოპოზიციამაც და საზოგადოების იმ ნაწილმაც, რომელიც კრიტიკულად არის განწყობილი, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, მათ შორის ჩვენი საპროტესტო აქციებით, რომ რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგით მივიყვანოთ ქვეყანა არჩევნებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან ბევრს დაკარგავს ქვეყანა. ყველა ვხედავთ, რომ ქვეყანა თავზე გვენგრევა, სრულად ჩამოშლილია ყველა ის სახელმწიფო ინსტიტუტი, რომლებმაც ეს ქვეყანა უნდა შეინარჩუნონ და ფუნქციონირება მისცენ. აბსოლუტურად ყველაფერი ჩამოშლილია.

– რას იტყვით სამოქალაქო აქტივისტებსა და ემზარ კვიციანს შორის მომხდარ ინციდენტზე? შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ ინციდენტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. რამ დაძაბა ვითარება?

– მარცხენა მხრიდან, მეორე შესასვლელთან მოხდა ეს ინციდენტი. ძალიან მარტივი რაღაც მოხდა, რუსი გახარიას ლანძღვა და პროტესტი არ გვაპატია ემზარ კვიციანმა. არავის უკვირს პატრიოტთა ალიანსის პოლიტიკური შეხედულებები და პოლიტიკური სიყვარული რუსეთისადმი. ეს ყველასთვის ნათელია. გამოგვივარდა, როგორც ჩანს, ვეღარ მოითმინა, როგორ ბედავენ თურმე ადამიანები რუსი გახარიას მიმართ პროტესტს. ეს იყო პასუხი და გაღიზიანება ჩვენს ქმედებებზე. თუ ვინმეს ჰგონია, რომ პატრიოტთა ალიანსი და ემზარ კვიციანი მოქმედებს „ქართული ოცნების“ გარეშე, ძალიან ცდება. ისინი ძალიან შეხმატკბილებულად განიხილავენ ყველა საკითხს. კვიციანსაც თავისი დავალებები აქვს მოსკოვიდან მიღებული და არ მოსწონს, როდესაც ამ დავალებების შესრულებაში უშლიან ხელს. სწორედ ამ აგრესიის გამოვლინება იყო ემზარ კვიციანის მიმართ. გვაფურთხა, გვაგინა, გვიქნია წიხლები და, ვინმეს თუ ჰგონია, რომ ემზარ კვიციანი დაისჯება ამის გამო ან მანდატს შეუჩერებენ, ძალიან ცდება.

– სამოქალაქო აქტივისტებმა გუშინ ცხვრები მიიყვანეს პარლამენტის წინ. რის თქმა გსურდათ ამ პერფორმანსით?

– ეს ნიშნავდა ძალიან მარტივ რამეს – ბიძინა ივანიშვილს აქ, პარლამენტში ჰყავს ცხვრები, რომლებიც იმას აკეთებენ, რასაც ეტყვის. ესენი ხომ არ აზროვნებენ დამოუკიდებლად. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც მონურ მორჩილებაში არიან და რასაც ეუბნება ბიძინა ივანიშვილი, იმას აკეთებენ. არაერთხელ გვაქვს ნანახი. ჩატში მიუვათ მესიჯი, რომ უნდა დააჭირონ მწვანეს და აჭერენ მწვანეს, უნდა დააჭირონ წითელს და აჭერენ წითელს. ამის ერთ-ერთი გამოვლინება იყო, როდესაც ვნახეთ, როგორ საცოდავად ისხდნენ, როდესაც ნიკა მელიას დაჭერას აძლევდნენ ხმას. ასეთ მდგომარეობაში არიან და ამას გამოხატავდა ის ცხვრებიც, საითაც წაიყვანენ, იქით გაჰყვება ფარა. ასე დაატარებს სამარცხვინოდ მათ ბიძინა ივანიშვილი. არ შეიძლება, პრემიერ-მინისტრად აირჩიო თვალთხარია კაცი. ამას რომ მისცეს ხმა, აუცილებლად დასრულდება მათი პოლიტიკური კარიერაც. ამისთვის საზოგადოება აუცილებლად მოსთხოვს პასუხს და მათ მოუწევთ, გასცენ კითხვებზე პასუხი, მათ შორის იმ კითხვებზეც, რომლებიც გახარიასთან გვქონდა. მათაც მოუწევთ ამ კითხვებზე პასუხისმგებლობის აღება და ამ ტვირთის გაზიარება.

კვიციანსაც თავისი დავალებები აქვს მოსკოვიდან მიღებული და არ მოსწონს, როდესაც ამ დავალებების შესრულებაში უშლიან ხელს. სწორედ ამ აგრესიის გამოვლინება იყო ემზარ კვიციანის მიმართ. გვაფურთხა, გვაგინა, გვიქნია წიხლები და, ვინმეს თუ ჰგონია, რომ ემზარ კვიციანი დაისჯება ამის გამო ან მანდატს შეუჩერებენ, ძალიან ცდება.

– როგორც გვესმის შეფასებები, მათი მოყვანა იმ მიზანს ემსახურება, რომ ბიძინა ივანიშვილი კვლავაც დარჩეს ხელისუფლებაში მესამე ვადით და ძალადობრივი გზით. ამაზე რას იტყვით?

– რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი, გახარიას, ღარიბაშვილისა და გომელაურის დანიშვნა, შერჩევა და წინა პლანზე წამოწევა ამას ემსახურება, ბიძინა ივანიშვილი მზად არის, ყველაფერი გააკეთოს, რომ ხელისუფლება შეინარჩუნოს. მათ შორის ხელისუფლების შენარჩუნებას შეეცდება ისე, როგორც გუშინ დაგვემუქრნენ, თუ საჭირო გახდება, კიდევ ვისვრითო. კიდეც ესვრიან ხალხს და იძალადებენ კიდეც. თუმცა მათ ვეტყვი, რომ რამდენ ტყვიასაც ესვრინან ხალხს, ყველა უკან მოუბრუნდებათ. ვიცით, რომ არავის ხელისუფლების ძალადობრივი გზით შენარჩუნება არ გამოსვლია. არ გამოუვა მათ შორის არც „ქართულ ოცნებას“. ვინც დღეს ამას აკეთებს ბიძინა ივანიშვილის თამადობით, ყველას მოეთხოვება პასუხი! ქართველი საზოგადოება არ პატიობს ასეთ შეცდომებს, არ პატიობს სისხლის დაღვრას. ამ ხელისუფლებამ იმაზე მეტი სისხლი დაღვარა, ვიდრე ვინმეს დაუღვრია. ჩვენ საკადრის პასუხს გავცემთ, სილას გავაწნავთ, თუ „ოცნება“ არჩევნების გზით არ დათმობს ხელისუფლებას, საზოგადოებას არ დაუტოვებს სხვა გზას, რომ იბრძოლოს სხვა მეთოდებით.

– სხვა მეთოდებში რას გულისხმობთ?

– მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციურ ჩარჩოებში ბრძოლას. ყველაფერს გააკეთებს საზოგადოება იმისთვის, რომ ეს ხელისუფლება ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს, მოგვშორდნენ რუსი ოლიგარქები და რუსეთში გამოწვრთნილი ადამიანები, თუნდაც ისეთი, როგორიც არის გიორგი გახარია.

– მესამე თვეა, აქციებს მართავთ. რას აპირებთ? როგორც ცნობილია, 20 სექტემბერს იმართება ფართომასშტაბიანი აქცია. როგორია თქვენი სამოქმედო გეგმები?

– 20 სექტემბერს დაგეგმილია აქცია და ეს იქნება ფართომასშტაბიანი. დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრი ადამიანი შეიკრიბება. ჩვენ არ ვაპირებთ არც დაშლას, არ დავღლილვართ და არც დავიღლებით. ვინმეს თუ ჰგონია, დავიღალეთ და სახლში წავალთ, ძალიან ცდება. ბრძოლას გავაგრძელებთ ბოლომდე, მანამ, სანამ გიორგი გახარია არ დატოვებს თანამდებობას. ის როდესაც იყო შინაგან საქმეთა მინისტრი, ვითხოვდით მის გადადგომას, ახლა არის პრემიერ-მინისტრი და კვლავ ვითხოვთ მის გადადგომას.

– ითხოვდით მის წასვლას, მაგრამ ის დააწინაურეს.

– ჰოდა, სწორედ ამიტომ ბიძინა ივანიშვილს ეს გადაწყვეტილება ცხვირში მოხვდება. საზოგადოებასთან თამაში როგორ უნდა, მაგას ძალიან მკაფიოდ ნახავს ივანიშვილი. ან არჩევნებით დემოკრატიულად გადააბარებენ ხელისუფლებას, ან არადა, გამოვა საზოგადოება და მათ გამოგლეჯს მიტაცებულ ძალაუფლებას. ხალხს ბიძინა ივანიშვილისთვის ამხელა ძალაუფლება არ მიუცია.

მიხეილ სააკაშვილი: „ის, რასაც ივანიშვილი და პუტინი გვიკეთებს, არის საქართველოს კადიროვიზაცია“

მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებას საქართველოს მესამე პრეზიდენტი გამოეხმაურა.

მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ის რასაც რასაც პუტინი და ივანიშვილი აკეთებენ არის საქართველოს კადიროვიზაცია.

მისი თქმით, ივანიშვილმა ხალხი მოატყუა, ახლა კი პუტინმა დაიწყო რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში.

– ივანიშვილმა თავის ფუნქცია შეასრულა, მისი ფუნქცია იყო ქართველი ხალხის მოტყუება და ამას წარმატებით გაართვა თავი ყალბი დაპირებებით და როცა აღარავის სჯერა მისი რუსეთმა დაიწყო დამამთავრებელი ეტაპის განხორციელება ივანიშვილის ჩანაცვლება პირდაპირი რუსული მმართველობით, – განაცხადა სააკაშვილმა ვიდეომიმართვაში.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

თორნიკე შარაშენიძე: „ღარიბაშვილი ივანიშვილის მორჩილებაში რეკორდებს ხსნის“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

„ოცნებამ“ გახარიას გაპრემიერებას მხარი სრული უმრავლესობით დაუჭირა. გასაგებია, რომ რასაც ჩასძახებენ, იმასვე ამოსძახებენ

– ბატონო თორნიკე, როგორც მოსალოდნელი იყო, საპარლამენტო უმრავლესობამ ახალ მთავრობას ნდობა გამოუცხადა. ბოლო დღეები თვალს ვადევნებდით საპარლამენტო განხილვებს. როგორია თქვენი შეფასებები?

– სრული უმრავლესობით დაუჭირა მხარი „ოცნებამ“ გახარიას გაპრემიერებას. გასაგებია, რომ ზოგადად მათ რასაც ჩასძახებენ, იმას ამოსძახებენ. თუმცა ამჯერად მათ მართლა გულწრფელად დაუჭირეს მხარი, რადგან მისგან ელიან რაღაც ხსნას.

– რა სახის ხსნას?

– ალბათ ფიქრობდნენ, რომ ბახტაძის ხელში, შესაძლოა, არჩევნები ვერ მოეგოთ და გახარიას ხელში მოიგებენ. მათ ხომ მეტი არაფერი უნდათ, გარდა იმისა, რომ ისხდნენ პარლამენტში, ცხოვრებაში მეტი ფუნქცია არა აქვთ. შესაბამისად, ახლა ამის იმედზე იქნებიან, გახარია გადაგვარჩენსო. ამიტომ მას გულწრფელად მისცეს ხმა.

– ანუ ეს მოლოდინი აქვთ, რომ უნდა მოიგონ 2020-ის არჩევნებიც?

– რა თქმა უნდა. გახარია კი მათ თვალში არჩევნების მომგები ფიგურაა, განსაკუთრებით საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შემდეგ და ასევე ზუგდიდის არჩევნების მერეც. ორივე მოგება მას მიეწერება, მის სახელზეა.

– ცოტა გადაჭარბებული ხომ არ არის ეს შეფასებები?

– კი, გეთანხმებით, ეგრეა, მაგრამ ვაღიაროთ, რომ „ოცნების“ ფონზე გახარია მაინც რაღაცა ფიგურას წარმოადგენს.

– პარლამენტის წინ პროტესტის ფონზე ჩაიარა მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებამ. არაფერმა გაჭრა, არც ოპოზიციისა და არც ქუჩის პროტესტმა. ოპოზიციის მიმართ, პირიქით, მუქარანარევი განცხადებაც კი მოვისმინეთ გახარიას მხრიდან. ამაზე რას იტყვით?

– რა გითხრათ, ნამდვილად არ მომეწონა ეს განცხადება, მე თქვენ დაგამთავრებთო. პარლამენტში ასეთი განცხადებები არ არის სწორი.

– რა იყო ეს, მუქარა?

– ეს წამოცდენა იყო გახარიას მხრიდან. არ ვიცი, რა უნდოდა, თუ ამით ცდილობდა, თავი მოეწონებინა ივანიშვილისთვის, ამის მიუხედავად, არც ეს მომწონს. იმედი მაქვს, ეს უფრო წამოცდენა იყო. რაც შეეხება იმას, თუ ოპოზიცია რას იზამს, რომელმაც გუშინ ვერაფერი გააწყო და ვერც გააწყობდა, გასაგებია, გარდა იმისა, რომ კვიციანი გამოიყვანა წყობიდან. მათ, მგონი, მოუწევთ სერიოზულად გადალაგება რაღაც-რაღაცების და ახალი სტრატეგიის ჩამოყალიბება.

– კერძოდ?

– მე, მაგალითად, რამდენიმე მომენტს გამოვყოფდი. პირველი, მუდმივად იმაზე აპელირება, რომ ეს რუსული მინისტრთა კაბინეტია, ჩემი აზრით, არ მუშაობს, მოსახლეობის ნაწილს ეს არ სჯერა და ნაწილს სულ არ აინტერესებს. შესაბამისად, აქცენტი უნდა გააკეთონ ისეთ რაღაცებზე, რაც აშკარად ჩანს, მაგალითად, ლარის კურსზე, დანგრეულ გზებზე, დანგრეულ ეკონომიკასა და მსგავს რამეებზე. ისეთ საკითხზე აქცენტის გაკეთება, რისიც არ სჯერა ძალიან ბევრს, მხოლოდ ამაზე აპელირება არ ღირს. მეორე მხრივ, ამ ნულოვანი ბარიერის პირობებში ბევრი პატარ-პატარა პარტია გავა და საფრთხე იმისა, რომ ამ პატარა პარტიებს მარტივად იყიდის ბიძინა ივანიშვილი, დიდია. მთელი რიგი საკითხებია, რომლებიც ოპოზიციას უნდა უბიძგებდეს, რომ სერიოზულად გადახედოს თავის პოლიტიკას.

– რამდენად მძიმე ერთი წელი და 2020 წლის არჩევნები გველოდება?

– კარგს არაფერს ველოდები. ახლა გაცილებით მეტი იდება სასწორზე, ვიდრე იდო შარშან, საპრეზიდენტო არჩევნების წინ. ერთადერთი, თეორიულად თუ დავუშვებთ, რომ გახარიას კაბინეტმა შეძლო და ეკონომიკური სიტუაცია ცოტა გააუმჯობესა ქვეყანაში, თუმცა ეს ძალიან ძნელი წარმოსადგენია ყოველივე იმის გათვალისწინებით, რაც ქვეყანაში ხდება, რა სურათიც გვაქვს.

– ორი ოდიოზური ფიგურის, გახარია-ღარიბაშვილის ტანდემ მინისტრთა კაბინეტში, რამდენად ხისტი იქნება მათი გადაწყვეტილებები?

– მე ტანდემს ვერ დავარქმევდი, რადგან, არა მგონია, მათ მაინცდამაინც ერთმანეთი უყვარდეთ. ეს ხომ ბიძინას ჩვეული სტილია – ბალანსი, ჰოდა, ერთმანეთის დასაბალანსებლად შემოიყვანა მინისტრთა კაბინეტში ეს ორი ფიგურა. სხვათა შორის, შევარდნაძეც ასე მართავდა თავის დროზე...

– არ ენდობა გახარიას? უნდა ეშინოდეს ივანიშვილს გახარიასიო. რატომ უნდა ეშინოდეს?

– ბუნებრივია, ღარიბაშვილივით მორჩილი არ არის გახარია. ღარიბაშვილი რეკორდებს ხსნის ივანიშვილის მორჩილებაში. ჯერ ამ რეკორდს ვერ მიუახლოვდა ვერავინ.

– შესაძლოა, გახარია უფრო ურჩი გამოდგეს?

– ღარიბაშვილის ფიგურა შექმნა ბიძინა ივანიშვილმა თავიდან ბოლომდე, გახარიას კი თავისი ფინანსური კაპიტალიც ჰქონდა და კარიერაც. მოსკოვში საკმაოდ აწყობილი ჰქონდა საქმე. ლუფთჰანზას ოფისის დირექტორი იყო მოსკოვში და ეს სახუმრო საქმე არ არის. შესაბამისად, გახარია თავის გზას იპოვის და ღარიბაშვილი – ვერა.

ოპოზიციისთვის ნამდვილად არ იქნება ეს არჩევნები იოლი გასეირნება. ჯერ ერთი, ოპოზიციას სერიოზულად აკლია ფინანსები, მეორეც, ჯერჯერობით ოპოზიციაში სერიოზული ლიდერი ვერ გამოიკვეთა.

– თუმცა არის ერთწლიანი პრემიერ-მინისტრი...

– ალბათ... თუმცა აქ მნიშვნელოვანი და მთავარი ინტრიგა ის არის, თუ მოიგო „ოცნებამ“ არჩევნები, დატოვებს თუ არა მას კვლავ პრემიერად ბიძინა ივანიშვილი. ეს ძალიან საინტერესო საკითხია.

– თუკი მოაგებინა, შესაძლოა, დატოვოს კიდეც.

– შესაძლოა, არა, რადგან შეეშინდება, ძალიან არ გაძლიერდეს გახარია. ივანიშვილს არ უყვარს ძლიერი ფიგურები.

– თუ ელოდებით რამე სვლებს? პრემიერი და ძალოვანი მინისტრები შეცვალნენ. სხვას რას უნდა ველოდოთ მისგან?

– მგონი, ეს ბოლო ცვლილებაა არჩევნებამდე, თუ ახლა კოსმეტიკურ ცვლილებებს არსად გეგმავს. მთავარი მისთვის ხომ ძალოვნებია და აქ დაალაგა, ასე თუ ისე, როგორც ჩანს. ამ ეტაპზე სხვანაირად არ ლაგდება, პარტიის შიგნით არსებული რეალობის გათვალისწინებით, თორემ მას ერჩივნა ღარიბაშვილი შინაგან საქმეთა მინისტრად.

– ერჩივნა, მაგრამ პარტიის შიგნით აუჯანყდნენო.

– როგორც ვიცი, არა მხოლოდ „ოცნების“ პოლიტსაბჭოში გაუწიეს წინააღმდეგობა, არამედ ძალიან მკაცრი პროტესტი გამოაცხადეს თვითონ შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალმა ეშელონებმა. ყველა ძალოვანი გააძლიერეს, რაც ასე სჭირდებოდათ არჩევნებისთვის. ასე რომ, კიდევ უფრო მეტი სიფხიზლე და ყურადღება სჭირდება ოპოზიციას.

– პროპორციულის მიუხედავად, ოპოზიციას გაუჭირდება ამ არჩევნებში?

– ოპოზიციისთვის ნამდვილად არ იქნება ეს არჩევნები იოლი გასეირნება. ჯერ ერთი, რომ ოპოზიციას სერიოზულად აკლია ფინანსები, მეორეც, ჯერჯერობით ოპოზიციაში ვერ გამოიკვეთა სერიოზული ლიდერი. შარშან გამოიკვეთა ვაშაძე, მაგრამ ბოლო პერიოდში აღარ ჩანს. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ეს კაცი დაიკარგა რაღაცნაირად. არადა, საქართველოში ყოველთვის ლიდერს ეძებენ.

– გამოდის, რომ „ოცნებას“ ისევ ეზრდება შანსები, ვიხილოთ მესამე ვადით?

– ამასაც ნუ ვიტყვით. დღეს ასე ჩანს, მაგრამ არჩევნებამდე ერთი წელია და „ოცნების“ პირობებში ერთი წელი ძალიან ბევრია. შეცდომები ისევ ექნებათ. „ოცნება“ რისი „ოცნებაა“, თუ არ გაგვაოცა. თვითონ იმედიანად არიან, რადგან მათთვის მთავარია ძალოვანი უწყებები, მოსამართლეები. სიტუაცია, ასე თუ ისე, ყველგან დალაგებული აქვთ. მნიშვნელოვანი სწორედ ეს არის ქვეყნის მართვისთვის, თორემ ბიძინას სულ არ აინტერესებს, ვინ იქნება განათლების მინისტრი და რა ცვლილებები მოხდება ამ კუთხით. სიმართლე რომ ითქვას, ბიძინასთვის თავდაცვის სამინისტროც არ არის მნიშვნელოვანი.

– მაშინ, რატომ გაუშვა იქ ღარიბაშვილი?

– მას თავდაცვის სამინისტრო აინტერესებს იმ კუთხით, რომ ჯარში მოიგოს არჩევნები. იზორიას შარშან რომ ხსნიდნენ, ხსნიდნენ იმიტომ, რომ სალომე ზურაბიშვილმა პირწმინდად წააგო არჩევნები ჯარში. აი, ამიტომ ხსნიდნენ, მაგრამ გადაიდო. ვერ გაუშვეს, წელს რაღაც „საპატიო“ ადგილი მისცეს და მოაშორეს თავდაცვის სამინისტროს. ასე რომ, ივანიშვილი მიიჩნევს, რომ სიტუაცია 2020-ისთვის დალაგებული აქვს.

გურამ ჩალაგაშვილი გახარიას მიმართავს: „გავრილოვის ღამის“ ყველაზე დიდი დამნაშავე ირაკლი ოქრუაშვილია?“

– ოცნების დეპუტატობა ტანჯვა და მაზოხიზმია, თორემ რომელიმეს მაინც უნდა გაებედა და ეკითხა თქვენთვის, რატომ არ იყავით პანკისში „სამართლიანი“ და მკაცრი, როცა პოლიციის მანქანები დაწვა თქვენგან გამწარებულმა მოსახლეობამ, – აცხადებს „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერი გურამ ჩალაგაშვილი და პრემიერ გახარიას კითხვით მიმართავს.

„პირველი შეკითხვა ახალ პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას.

„გავრილოვის ღამის“ ყველაზე დიდი დამნაშავე ირაკლი ოქრუაშვილია?

დღეს, როცა ოცნების პარტკომის სხდომაზე გაქებდნენ, გარეთ „მებრძოლმა“ კვიციანმა პოლიციელს ხელი კრა და მიაჩმორა, ჟურნალისტებს და აქციის მონაწილეებს დედა აგინა და იქვე ფიზიკური შეურაცხყოფაც არ დაეყოვნა პანღურის სახით.

თუ კადრებს ნახავთ, არ გეუცხოებათ ალბათ კვიციანის ესოდენ „თავშეკავებული“ ქცევა ფორმიანი ადამიანების მიმართ, მაგრამ მათი დაცვა სულ არ გიცდიათ.

ახლა მეორე კითხვა მაქვს, კვიციანის დაპატიმრება ივანიშვილმა არ გიბრძანათ?

მოკიდებთ ხელს კვიციანს და თქვენი აჯობებს. ძველი წისქვილივით დაფქვავს ყველაფერს, რაც იცის და არ იცის.

ოცნების დეპუტატობა ტანჯვა და მაზოხიზმია, თორემ რომელიმეს მაინც უნდა გაებედა და ეკითხა თქვენთვის, რატომ არ იყავით პანკისში „სამართლიანი“ და მკაცრი, როცა პოლიციის მანქანები დაწვა თქვენგან გამწარებულმა მოსახლეობამ. მაშინაც მინისტრი ცქიტიშვილი მოგყვებოდათ გვერდით, ორი დღის წინ თქვენ საამებლად „გავრილოვის ღამის“ კადრებს ბედნიერი ღიმილით რომ უყურებდა. ეს ქალია თქვენი მთავრობის სახე.

თქვენი პრემიერობა სტიქიური უბედურებაა ამ ქვეყნისთვის და პირველ რიგში თქვენთვის. არა მგონია, მოსალოცად გქონდეთ საქმე.

თქვენ ისტორია გაგცემთ პასუხს. „გავრილოვის ღამე“ თქვენს კისერზეა და კიდევ თქვენი სოლოლაკელი „ძმის“.

გახსოვდეთ, ოცნების გამყიდველ დეპუტატებზე მეტნი ვართ!

თქვენც ჩვენი დასაცავი გახდებით და იქნებ მაშინ მაინც გეყოთ ვაჟკაცობა და სიმართლე აღიაროთ, – მიმართავს გურამ ჩალაგაშვილი პრემიერ გახარიას.

ბაჩუკი ქარდავა: „ივანიშვილმა საქართველოში რუსული მთავრობა ოფიციალურად გააფორმა“

ივანიშვილმა საქართველოში ოფიციალურად გააფორმა რუსული მთავრობა, ხელისუფლება სრულად განიძარცვა ლეგიტიმაციისგან – ასე აფასებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ბაჩუკი ქარდავა ახალი მთავრობის ფორმირებას, რომელიც საზოგადოებას ბიძინა ივანიშვილმა წარუდგინა.

– ყველაფერი ცხადია. ფაქტობრივად, ბიძინა ივანიშვილმა 7 წლის თავზე საქართველოში ოფიციალურად გააფორმა რუსული მთავრობა. მე არ ვიტყვი პრორუსული, ეს არის რუსული მთავრობა. გახარია პირდაპირ ემორჩილება კრემლის დავალებებს. ამით რუსული გეგმა განხორციელდა, ანუ გეგმა , რომელიც დაიწყო 2012 წელს. ალბათ, არცერთ ქვეყანაში, არც ერთი მმართველი, დიქტატორიც კი არ გაბედავდა იმას, რაც გაბედა ბიძინა ივანიშვილმა – მან ხელყო ქართველი ადამიანის ღირსება, როდესაც 20 ივნისის დამნაშავე, პრემიერად წარადგინა, და მოგეხსენებათ, რა მწარეა ქართველისთვის, როცა ახალგაზრდებს, ჩვენ შვილებს, რომლებიც აპროტესტებდნენ რუსულ ოკუპაციასა და გავრილოვის ცინიკურ დასმას საქართველოს პარლამენტში, დასთხარეს თვალები. ამის შემდეგ ჩვენ საქმე გვაქვს ხელისუფლებასთან, რომელიც სრულად განიძარცვა ლეგიტიმაციისგან. ერთადერთი ამოცანა დაგვრჩა – ეს ხელისუფლება დასრულდეს, დასრულდეს რაც შეიძლება მალე, მშვიდობიანი გზით. რა თქმა უნდა, კარგია თუ არჩევნების გზით ეს ყველაფერი დასრულდება. მაგრამ ცხადია, ერთი წელი თუ კიდევ უფრო ცუდი მოვლენები განვითარდება ქვეყანაში, რისი მოლოდინიც მე პირადად მაქვს, ნამდვილად არ გვაქვს საზოგადოებას იმის უფლება, ველოდოთ და ვუყუროთ მოვლენებს. რა თქმა უნდა, თუ ქვეყანას ვკარგავთ, მაშინ ჩვენი ვალია ხალხმა დაიბრუნოს ძალაუფლება და განახორციელოს უკვე ისე, როგორც ეს ქართველი ერის ინტერესებში შედის, – განაცხადა ბაჩუკი ქარდავამ.

გია ხუხაშვილი: „ამ მინისტრთა კაბინეტს დავაწეროთ სათაურად – ძალაუფლების შენარჩუნების მცდელობის კაბინეტი“

ამ მინისტრთა კაბინეტს დავაწეროთ სათაურად – ძალაუფლების შენარჩუნების მცდელობის კაბინეტი, – ასე შეაფასა ექსპერტმა გია ხუხაშვილმა მთავრობის განახლებული შემადგენლობის დამტკიცება.

როგორც გია ხუხაშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, არანაირი სახელმწიფოებრივი ამოცანები, სამწუხაროდ, ახალი მინისტრთა კაბინეტის უკან არ ჩანს.

მისივე თქმით, ხელისუფლება ძალიან ბევრ ისეთ ადამიანს, რომლებსაც აქვთ პოტენციალი სახელმწიფო მოღვაწედ ჩამოყალიბების, „ხორცის მანქანაში ატარებს, იყენებს და მერე აგდებს“. ხუხაშვილი, ახალ პრემიერ-მინისტრს გიორგი გახარიას, სწორედ ასეთ ადამიანად მოიაზრებს.

– ეს მაინც, სამწუხაროდ, წინასაარჩევნო მინისტრთა კაბინეტია. მთავარი გზავნილი, რაც დავინახეთ ამ დებატებიდან გამომდინარე, არის ის, რომ ნეგატიურ დღის წესრიგზეა გათვლილი, ანუ საზოგადოების კონფრონტაციაზე და ორპოლუსიანობის უზრუნველყოფაზე. ძირითადად დაეთმო ეს დებატები ტემპერატურის აწევას, შუღლის გაღვივებას და მხარეებად ფორმირებას, ისე რომ, ალტერნატიული აზრისთვის ადგილი არ დატოვა. გახარიას სწორედ ეს ამოცანა დაუსახა ხელისუფლებამ. გამომდინარე იქიდან, რომ გრძელვადიან პოლიტიკურ დღის წესრიგს ვერ ქმნიან, საფრთხე ექმნება მათ ძალაუფლებას. შესაბამისად, ამ მინისტრთა კაბინეტს დავაწეროთ სათაურად – ძალაუფლების შენარჩუნების მცდელობის კაბინეტი, – განაცხადა ხუხაშვილმა.

35 წლის შ.ს.-მ მშობიარობის შემდეგ ახალშობილი, სავარაუდოდ, ნაგავში გადააგდო

„პრაიმტაიმმა“ დედის მიერ ახალშობილის სავარაუდოდ განზრახ მკვლელობის საქმეზე დამატებითი დეტალები გაარკვია.

ჩვენი ინფორმაციით, ნაძალადევის რაიონში მცხოვრებმა შ.ს-მ რამდენიმე დღის წინ საკუთარ საცხოვრებელ ბინაში იმშობიარა. 35 წლის ქალმა მშობიარობის შემდეგ ახალშობილი, სავარაუდოდ, ნაგავში გადააგდო.

6 სექტემბერს გამთენიისას კი ქალი №5 სამშობიაროში ძლიერი სისხლდენით სასწრაფო დახმარების ბრიგადამ შეიყვანა. მას გადაუდებელი ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა და ამჟამად რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება.

როგორც სამედიცინო დაწესებულებაში „პრაიმტაიმს“ განუმარტეს, მისი მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

– ჩვენთან პაციენტი შემოვიდა სასწრაფო დახმარების ბრიგადით. მას ჩაუტარდა ოპერაცია და ამ დროისთვის ის რეანიმაციულ განყოფილებაშია გადაყვანილი. შესაბამისად, მისი მდგომარეობა არის სტაბილურად მძიმე. სხვა მხრივ ინფორმაცია, სამწუხაროდ, არ გვაქვს, თუ რა მოხდა და როგორ მოხდა, – გვითხრეს №5 სამშობიაროში.

„პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, 35 წლის შ.ს-მ ოპერაციამდე სამედიცინო პერსონალთან საუბრისას დაადასტურა, რომ ბავშვი გადააგდო, თუმცა ამ დროისთვის ჩვილი ნაპოვნი არ არის.

სამართალდამცველები აქტიურ საგამოძიებო მოქმედებებს აწარმოებენ. როგორც შსს-ში „პრაიმტაიმს“ განუცხადეს, ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლით დაიწყო, რაც დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

შ.ს-ს ჰყავს კიდევ ერთი არასრულწლოვანი ბავშვი, რომელიც გუშინ დილით სოციალურმა სამსახურმა სპეციალიზებულ დაწესებულებაში გადაიყვანა.

სოფო კილაძე: „ნიკა გვარამია თუ დამნაშავეა, უნდა დაისაჯოს!“

– თუ არის კონკრეტული დანაშაულის ნიშნები, ამას, ბუნებრივია, სამართლებრივი ნაბიჯები უნდა მოჰყვეს.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა სოფო კილაძემ „რუსთავი 2“-ის ყოფილი გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას მიმართ ბრალის დამძიმების შესახებ კომენტირებისას განაცხადა.

როგორც კილაძემ აღნიშნა, ბოლოს დროს მოდაშია მედიისა და პოლიტიკის უკან ამოფარება იმისათვის, რომ დანაშაულს აარიდოს ადამიანმა თავი. მისივე თქმით, საჭიროა გამოძიება და, თუ საუბარია იმაზე, რომ ადამიანი დამნაშავეა, ამისათვის საჭიროა მტკიცებულებების წარმოდგენა.

– სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს განსაკუთრებით მოდაში შემოვიდა ხან მედიის, ხანაც პოლიტიკის უკან ამოფარება. მე მგონია, რომ თუ არის კონკრეტული დანაშაულის ნიშნები, ამას, ბუნებრივია, სამართლებრივი ნაბიჯები უნდა მოჰყვეს, შეფასება იმისა, ჩაიდინა თუ არა პირმა დანაშაული. ეს არის ცალსახა მტკიცებულებების საქმე, ამიტომ ამ სიტუაციის პოლიტიზება ცალსახად მიუღებელია, – განაცხადა კილაძემ.

შეგახსენებთ, რომ ნიკა გვარამიას „რუსთავი 2“-ის საქმეზე ახალი ბრალი წაუყენეს. ნიკა გვარამიას გარდა, ბრალდების დადგენილება გამოტანილია არხის ყოფილი ფინანსური დირექტორის კახა დამენიასა და „ინტერმედია პლუსის“ დირექტორ ზურაბ იაშვილის მიმართაც.

„ინტერმედია პლუსის“ დირექტორ ზურაბ იაშვილს 50.000-ლარიანი გირაო შეეფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და „რუსთავი 2“-ის საქმეზე ბრალდებულ „ინტერმედია პლუსის“ დირექტორ ზურაბ იაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით 50.000-ლარიანი გირაო შეუფარდა. ამასთან, მას ეკრძალება საგამოძიებო ორგანოს ინფორმირების გარეშე ქვეყნიდან გასვლა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე არსენ კალატოზიშვილმა 7 სექტემბერს, საღამოს გამოაცხადა.

სასამართლო პროცესზე პროკურატურამ ზურაბ იაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდებასთან ერთად მოითხოვა, რომ ბრალდებულს საგამოძიებო ორგანოს ინფორმირებისა და ნებართვის გარეშე ქვეყნიდან გასვლა აეკრძალოს. დაცვის მხარე კი სასამართლოსგან იაშვილის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დარჩენას ითხოვდა.

ცნობისთვის, გენერალურმა პროკურატურამ 6 სექტემბერს „რუსთავი 2“-ის საქმეზე ბრალი ნიკა გვარამიას, ასევე „რუსთავი 2“-ის ყოფილ ფინანსურ დირექტორ კახა დამენიასა და „ინტერმედია პლუსის“ დირექტორ ზურაბ იაშვილს წაუყენა.

ვინ არიან უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატები

ბიუროს გადაწყვეტილებით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის საკითხს იურიდიულ საკითხთა კომიტეტი განიხილავს

ბიუროს გადაწყვეტილებით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის საკითხის განხილვა იურიდიულ საკითხთა კომიტეტს დაეწერა. კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილის განმარტებით, სამი დღის განმავლობაში უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი და მოსამართლეობის კანდიდატთა შესახებ პარლამენტში შესული მასალები კომიტეტის წევრებს დაეგზავნებათ.

ანრი ოხანაშვილის თქმით, მასალების დაგზავნიდან 1 კვირის შემდეგ შესაძლებელი იქნება, მოსამართლეობის კანდიდატთა მოსმენები დაიწყოს.

შეგახსენებთ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრების შემდეგ 20-კაციანი სია შეადგინა, რომელიც განსახილველად პარლამენტს წარუდგინა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტის წინაშე განსახილველად ნომინირებული არიან შემდეგი კანდიდატები: თამარ ალანია – 11 ხმით; მერაბ გაბინაშვილი – 11 ხმით; შოთა გეწაძე – 11 ხმით; მირანდა ერემაძე – 10 ხმით; მამუკა ვასაძე – 10 ხმით; მაია ვაჩაძე – 11 ხმით; თამარ ზამბახიძე – 11 ხმით; შალვა თადუმაძე – 10 ხმით; ზაზა თავაძე – 10 ხმით; ვლადიმერ კაკაბაძე – 10 ხმით; ლევან მიქაბერიძე – 10 ხმით; გიორგი მიქაუტაძე – 11 ხმით; პაატა სილაგაძე – 10 ხმით; ნუგზარ სხირტლაძე – 11 ხმით; ლალი ფაფიაშვილი – 11 ხმით; ნინო ქადაგიძე – 11 ხმით; ლაშა ქოჩიაშვილი – 10 ხმით; ქეთევან ცინცაძე – 10 ხმით; ალექსანდრე წულაძე – 10 ხმით; გოჩა ჯეირანაშვილი – 10 ხმით. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის საკითხს იურიდიულ საკითხთა კომიტეტი განიხილავს.

– შესაძლებლობა გვაქვს, თითოეულ კანდიდატს მოვუსმინოთ და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ჩვენ მიერ ყველა შეკითხვა, რაც საზოგადოებისთვის შეიძლება საინტერესო იყოს, გაჟღერდება. ასევე, კომიტეტის წევრებს და პოლიტიკურ ჯგუფებს სრულად მიეცემათ შესაძლებლობა, უზრუნველყონ შეკითხვების დასმა და დეტალურად გავესაუბროთ თითოეულ კანდიდატს. ამის შემდგომ მივიღებთ გადაწყვეტილებას, ვის ექნება მხარდაჭერა. ასე რომ, ის, თუ ვის შეიძლება დავუჭიროთ მხარი, პროცესში გამოიკვეთება. დღეს ჩატარდება ბიუროს სხდომა, აღნიშნული საკითხი დაეწერება იურიდიულ საკითხთა კომიტეტს, რის შემდეგაც ჩვენ გვაქვს სამდღიანი ვადა, რომ შევქმნათ სამუშაო ჯგუფი, დავუგზავნოთ შემოსული მასალები იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრებს და მასალების დაგზავნიდან ერთი კვირის მერე რეგლამენტით გათვალისწინებულია შესაძლებლობა, დავიწყოთ მოსმენები. არასდროს არავინ იცოდა, რა არგუმენტებით ხდებოდა უზენაეს სასამართლოში მოსამართლეების ნომინირება, არავინ იცოდა კონკრეტული სახელები და გვარები და ვერ ისმენდნენ კონკრეტულ ხედვასა და დამოკიდებულებებს. ჩვენ საზოგადოებას მივეცით მონიტორინგის საშუალება, პროცესი წარიმართა ხანგრძლივად, გამჭვირვალედ და ამავე გამჭვირვალობას უზრუნველვყოფთ კომიტეტში, – განაცხადა ოხანაშვილმა.

ჟურნალისტების კითხვაზე, უჩენს თუ არა მას რომელიმე კონკრეტული სახელი და გვარი განსაკუთრებული დამოკიდებულების განცდას, ოხანაშვილმა უპასუხა, რომ ამ პროცესში მისი ვალდებულებაა, იყოს არბიტრი.

– ამ პროცესში მაქვს ვალდებულება, ვიყო არბიტრი, პარლამენტის წევრებსა და პოლიტიკურ ჯგუფებს მივცე შესაძლებლობა, მათთვის სასურველი შეკითხვები დასვან. ჩემი დამოკიდებულება და მხარდაჭერა, ვის მიმართ გადაიხრება, ეს იმ უმნიშვნელოვანეს პროცესზე იქნება დამოკიდებული, რომელიც წარიმართება კომიტეტში მოსმენებზე. ასევე, დამოკიდებული იქნება თითოეული კანდიდატის დამოკიდებულებაზე, თუ რა დატვირთვა აქვს და როგორ წარმოუდგენიათ მათ, იყვნენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, რა ღირებულებები, გამოცდილება და ცოდნა აქვთ, – აღნიშნა ოხანაშვილმა.

ცეკვის აკადემია
თელა

გიწვევთ
თანამედროვე და სამეჯლისო
ცეკვების შესასწავლად

ჯგუფები იმუშავებენ ასაკობრივი
დაყოფით: 30-45 წლის
ახალგაზრდები, 45-60 წლის
ჭარმაგები, 60 წლის ზევით სენიორები.
ჩაწერა იწარმოებს 20 აგვისტოდან.
მისამართი: აკაკი წერეთლის 126.
ტელ: 599-77-80-08 235-52-75
Email: academytela@yahoo.com

თარხნიშვილის ქუჩაზე დალი ჩიტალაძის შვილი დაჭრეს

მოდის ექსპერტ დალი ჩიტალაძის შვილი ვახტანგ სუთიძე დაჭრეს. მას ეკლესიიდან აედევნა უცნობი პირი და სადარბაზოში დანით ჭრილობა მიაყენა.

ინფორმაცია მსახიობმა გიორგი გასვიანმა გაავრცელა:

– მე-9 საავადმყოფო... უკვე მერამდენე შემთხვევაა, როდესაც ფსიქიკურად არამდგრადი ადამიანები მოქალაქეებს თავს ესხმიან.

სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ფსიქიკურად დაავადებულებზე, რომლებიც ესხმიან თავს ადამიანებს. ალბათ გახსოვთ ერთ-ერთი ბოლო შემთხვევა 3 წლის ბავშვზე თავდასხმის.

ახლობლები თარხნიშვილის ქუჩაზე მამაკაცის დაჭრის შესახებ დეტალებზე საუბრობენ.

იურისტ მარიამ კუბლაშვილის ინფორმაციით, თარხნიშვილის ქუჩაზე მამაკაცს ზურგიდან ფსიქიკურად გაუწონასწორებელი მამაკაცი დაესხა თავს. მისი განცხადებით, დაჭრილს ოპერაცია უტარდება.

– კვირა დღეა და წირვაზე იმყოფებოდა. იქიდან წამოვიდა სახლში. ეს ადამიანი ჩუმად გამოჰყვა და სადარბაზოში როგორც კი შემოვიდა, ჩუმად უკნიდან, ზურგიდან დაარტყა დანა. ჭრილობა ძალიან ღრმაა, სადარბაზო სისხლით სავსეა. რაც მთავარია, ააღწია სახლამდე, ახლა ოპერაცია უტარდება, – განაცხადა იურისტმა მარიამ კუბლაშვილმა.

შეგახსენებთ, თბილისში, თარხნიშვილის ქუჩაზე, ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

ზემო ფონიჭალაში ავტომანქანა ელექტროგანათების ბოძს შეეჯახა

არიან დაშავებულები

ზემო ფონიჭალაში „ნისანის“ მარკის ავტომანქანა ელექტროგანათების ბოძს შეეჯახა. ავტომანქანის მძღოლმა და სამმა მგზავრმა სხეულის დაზიანებები მიიღეს. ოთხივე დაშავებული საავადმყოფოშია გადაყვანილი.

როგორც „ინტერფაქსინფუსს“ შსს-დან აცნობეს, მომხდარ ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

უკრაინელი ტყვეები გაათავისუფლეს

უკრაინელი ტყვეების გაცვლის ეპოპეა, როგორც იქნა, დასრულდა. წინ მას უდიდესი სამუშაო უძღოდა. ხელისშემშლელი ფაქტორი მრავალი იყო, უმთავრესი კი გახლდათ რუსების ამბიციები და თავად ფაქტი, რომ ხდებოდა ტყვეების გაცვლა და არა უკრაინის კაპიტულაცია. მოსკოვისათვის ეს მტკივნეული იყო. ამიტომაც გაცვლის რამდენიმე მცდელობა ჩაიშალა. მართალია, საერთაშორისო საზოგადოება უკრაინელების გათავისუფლებას კატეგორიულად მოითხოვდა (არსებობდა ჰააგის ტრიბუნალის დადგენილებაც), მაინც გაცვლა რამდენიმეჯერ ჩაიშალა. ამჯერადაც უკანასკნელ მომენტამდე ყველაფერი კითხვის ნიშნის ქვეშ იყო.

ვლადიმერ ზელენსკიმ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ პუტინმა მოითხოვა, ზოგიერთი ტყვე ჯერჯერობით არ გაეშვათ. მაგალითად, მან რეჟისორი სენცოვი დაასახელა, რომელსაც რუსები სრულიად უსაფუძვლოდ ტერორიზმს აბრალებდნენ. რუსული მხარე მხოლოდ ქერჩის სრუტეში დატყვევებული მეზღვაურების გათავისუფლებაზე იყო თანახმა. რუსეთ-უკრაინის პრეზიდენტებს შორის იყო განუწყვეტელი დისკუსიები, რომლებშიც ჩაერთვნენ როგორც ევროპელი, ისე ამერიკელი პოლიტიკოსები. ბოლოს და ბოლოს, პუტინი 35 უკრაინელის გათავისუფლებას დათანხმდა. მათ შორის იყვნენ სენცოვი, კარპიუკი, გრიბი და სხვები. სამაგიეროდ, უკრაინელებმა გაათავისუფლეს „რია ნოვოსტის“ ჟურნალისტი ვიშინსკი, ე.წ. დონეცკის რესპუბლიკის საჰაერო თავდაცვის უფროსი და ა.შ.

თვითმფრინავი, რომელშიც გათავისუფლებული უკრაინელები ისხდნენ, კიევის ბორისპოლის აეროპორტში დაეშვა. ყველა უკრაინულმა არხმა გადასცა, თუ როგორ დახვდნენ ახლობლები ყოფილ ტყვეებს. აეროპორტში პრეზიდენტი ზელენსკიც მივიდა. მან გათავისუფლებულებს სათითაოდ ხელი ჩამოართვა და გადაკოცნა.

– დიდება უკრაინას! – ასე მიესალმნენ თავიანთ პრეზიდენტს ყოფილი ტყვეები.

– გმირებს დიდება! – მიუგო ზელენსკიმ.

რუსეთში კი ტყვეების გათავისუფლებამ ჩუმად ჩაიარა. პუტინი ვნუკოვოს აეროპორტში არ მისულა. რუსი ტყვეების გათავისუფლებაც უხმაუროდ, ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე მოხდა.

ვლადიმერ ზელენსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ტყვეთა გაცვლის პროცესი დაიწყო. მისი დასრულების შემდეგ ცეცხლის შეწყვეტა და ჯარების დაშორიშორება მოხდება. შემდეგ დონბასის კონფლიქტის დარეგულირების საკითხი უკანასკნელ, გადამწყვეტ ფაზაში შევა, როცა დონბასის სტატუსი უნდა განისაზღვროს. რუსული მხარის წინადადება, ჯერ არჩევნების ჩატარება და შემდეგ ტყვეთა გათავისუფლება და საზღვარზე უკრაინის კონტროლის აღდგენა (შტაინმაიერის ფორმნულა), ზელენსკიმ უარყო. უკრაინის პრეზიდენტმა მიაღწია იმას, რომ ტყვეთა გათავისუფლება დაიწყო.

პუტინთან სატელეფონო საუბრისას უკრაინის პრეზიდენტმა კვლავ დააყენა ნორმანდიულ ფორმატში შეხვედრის საკითხი. პუტინმა ტყვეთა გაცვლის დაწყების გამო კმაყოფილება გამოთქვა. მან განაცხადა, რომ უნდა დაიწყოს სამზადისი ნორმანდიულ ფორმატში შეხვედრისათვის.

დონბასში ტყვეთა გაცვლის დაწყებას მიესალმნენ აშშ-ის პრეზიდენტი ტრამპი, საფრანგეთის ლიდერი მაკრონი და ა.შ. ტრამპმა განაცხადა, რომ დონბასში მშვიდობის აღსადგენად სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა. მალე გამოჩნდება, შედგება თუ არა შეხვედრა ნორმანდიულ ფორმატში და რა შედეგებით დამთავრდება იგი.

ოლეგ სენცოვი: „ბრძოლა გრძელდება!“

ევროკომისარი ფედერიკა მოგერინი რუსეთ-უკრაინას შორის ტყვეთა გაცვლის პროცესის დაწყებას მიესალმა. მან განსაკუთრებით სენცოვის გათავისუფლების ფაქტი გამოყო.

– კინორეჟისორ სენცოვს სრულიად უსაფუძვლოდ ტერორიზმი დაუბრალეს და 20 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. მოხარული ვარ, რომ ეს უდანაშაულო და ძალიან ნიჭიერი კაცი, თავისი ქვეყნის ნამდვილი პატრიოტი, ბოლოს და ბოლოს, გათავისუფლდა, – თქვა მოგერინიმ.

რუსეთში სენცოვის გათავისუფლებას განსხვავებულად აფასებენ. ყირიმის ყოფილმა პროკურორმა პოკლონსკაიამ თქვა, რომ ეს იძულებითი ნაბიჯია.

– უკრაინელებმა ჩვენი ბიჭები გაიტაცეს. მათი სიცოცხლე საფრთხეში იყო. ჩვენც იძულებული გავხდით, ტერორისტი სენცოვი გაგვეთავისუფლებინა. დაე, ევროპამ ამ კაცზე, რაც უნდა, ილაპარაკოს. მე ვიტყვი, რომ ის ტერორისტი და მკვლელია! – ასე დაასრულა თავისი სიტყვები პოკლონსკაიამ.

თავად სენცოვმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ტყვეთა გაცვლის დაწყება უდავოდ პოზიტიური მოვლენაა, მაგრამ მთავარი ბრძოლები წინ არის.

– ბრძოლა გამარჯვებით მხოლოდ მაშინ დასრულდება, როცა დონბასი და ყირიმი უკრაინას დაუბრუნდება! აქამდე, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ შორია, – ამბობს სენცოვი.

მარკ ესპერი: „რუსეთი ნორმალურად არ იქცევა!“

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა მარკ ესპერმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი რუსეთის საგარეო პოლიტიკას არ შეეგუება. შეჭრა საქართველოში და მისი ტერიტორიის ნაწილის (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) ოკუპაცია, ყირიმის ანექსია, ომის გაჩაღება დონბასში, ასადის მხარდაჭერა სირიაში და ა.შ. – ეს ყველაფერი სათანადო რეაგირებას მოითხოვს.

– რუსეთი ნორმალურად არ იქცევა. აშშ-ც იძულებულია, კონტრნაბიჯები გადადგას, – ამბობს ესპერი.

ბრიტანელი მინისტრი გადადგა

ბრიტანეთის შრომის მინისტრი რიდი გადადგა. მიზეზი პრემიერ ჯონსონის მიმართ ოპოზიციაა.

– ჯონსონს სურს, ბრიტანეთი ევროკავშირიდან შეთანხმების გარეშე გავიდეს. ეს ჩვენი ქვეყნისათვის დამღუპველია, – თქვა რიდმა.

ამ მოსაზრებას ბევრი იზიარებს. ჯონსონმაც ბრიტანეთის პარლამენტში უმრავლესობა დაკარგა. ვნებათაღელვა ბრექსიტის გარშემო ძლიერდება.

ვენესუელაში მინისტრთა ჩრდილოვანი კაბინეტის ფორმირება დაიწყო

ვენესუელის ოპოზიციის ლიდერმა და პარლამენტის სპიკერ ხუან გუაიდოს მოკავშირე ლოპესმა მინისტრთა ჩრდილოვანი კაბინეტის ფორმირება დაიწყო. როგორც ცნობილია, გუაიდო ვენესუელის პრეზიდენტად უკვე 50-მდე ქვეყანამ აღიარა.

ლოპესი ახლა ესპანეთის საელჩოს ტერიტორიაზე იმყოფება. საელჩოს მან მას შემდეგ შეაფარა თავი, რაც ოპოზიციამ პრეზიდენტ მადუროს დამხობის უშედეგო მცდელობა განახორციელა.

ბელორუსი მოსკოვისაგან კომპენსაციას მოითხოვს

ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ განაცხადა, რომ მისი რესპუბლიკა ჩერნობილის ავარიისაგან ძალზე დაზარალდა. ამის გამო რუსეთმა მას კომპენსაცია უნდა გადაუხადოს.

– მგონი, ბელორუსებს მეტისმეტად ველოლიავებით. შეღავათიან ფასებში ვაწვდით გაზს, ნავთობს, ვპატიობთ ვალებს... დადგა დრო, როცა ბელორუსი რუსეთის შემადგენლობაში უნდა შევიდეს, – განაცხადა ჟირინოვსკიმ.

ვლადიმერ ვოლფოვიჩმა ხაზი გაუსვა, რომ ბელორუსების 52%-ს რუსეთის შემადგენლობაში შესვლა სურს. ამას მხოლოდ პრეზიდენტი ლუკაშენკო უშლის ხელს.

– ჩატარდება რეფერენდუმი. საერთაშორისო საზოგადოებაც დაინახავს, რომ ბელორუსებს რუსეთის შემადგენლობაში შესვლა უნდათ. რაც შეეხება ლუკაშენკოს, ის, დროა, წავიდეს, – თქვა ჟირინოვსკიმ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

იგორ დოდონი ვლადიმერ პუტინს შეხვდა

მოლდოვის პრეზიდენტი იგორ დოდონი მოსკოვში ჩავიდა. ის პირადად ვლადიმერ პუტინმა მიიღო. მოლაპარაკების ძირითადი თემა რუსეთ-მოლდოვას შორის შემდგომი თანამშრომლობა იყო.

დოდონმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ 1 ოქტომბრიდან რუსეთი მოლდოვას გაზზე ფასს დაუკლებს. პუტინის პრესმდივანმა პესკოვმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ ეს საკითხი თითქმის გადაწყვეტილა, თუმცა არა ბოლომდე.

– რაღაც-რაღაცები უნდა დაზუსტდეს, – თქვა პესკოვმა.

ქალაქიდოსკოპი

ზვიგენებმა „განძთა კუნძული“ ალყაში მოაქციეს

წყნარ ოკეანეში დაუსახლებელ კუნძულ ქოქოსზე მოხვედრის საშუალებას ადამიანებს, რომლებსაც იქ გადამალული საგანძურის ნახვა სურთ, ზვიგენები არ აძლევენ.

ძვირფას ნივთებს შორის იქ შესაძლოა იყოს ღვთისმშობლის სრული ზომის ოქროს ქანდაკება, ბრილიანტები და ასეულობით ოქროს და ვერცხლის მონეტები. განძის ძიებას ასეულობით სხვადასხვა სახეობის ზვიგენი ართულებს.

ლეგენდის თანახმად, განძი იქ მეკობრეებმა დატოვეს, რომლებმაც საგანძური 1820 წელს პერუს დედაქალაქ ლიმადან მომავალი ხომალდიდან გაიტაცეს. გემს ძვირფასეულობა მექსიკაში გადაჰქონდა. მეკობრეები თავს დაესხნენ გემს, მოკლეს მისი კაპიტანი, ღვთისმსახურები და ჯარისკაცები. ყველანი კუნძულ ქოქოსზე დამარხეს. თუმცა მათ საფლავებს დღემდე ვერ მიაკვლიეს.

დაუსახლებელ კუნძულზე განძის მაძიებლები მთელი მსოფლიოდან სტუმრობდნენ. 1856 წელს დაქირავებულებმა, რომლებმაც ნიკარაგუაში მიმდინარე ომს თავი არიდეს და კუნძულზე იმალებოდნენ, განძის მცირე ნაწილს მიაგნეს. მათ გამოქვაბულში გვირაბი გათხარეს და მიაგნეს ყუთს, რომელშიც ესპანური ოქროს მონეტები ინახებოდა. ამან კი მომავალში კუნძულის მიმართ დაინტერესება კიდევ უფრო გაზარდა.

სპეციალისტები ამასთან დაკავშირებით ბევრს კამათობენ. ისინი დარწმუნებულები არ არიან, რომ განძი სწორედ ამ კუნძულზე ინახება. ზოგიერთი სკეპტიკოსი მიიჩნევს, რომ ეს ყოველივე უბრალოდ მეკობრეთა შელამაზებული ისტორიაა.

მამაკაცმა ავტოფარეხის დალაგებისას შუა საუკუნეების ბეჭედი იპოვა

ბრიტანეთის ბაკინჰემშირის საგრაფოს ქალაქ ეილსბერის მკვიდრი საკუთარ ავტოფარეხში ფასდაუდებელ შუა საუკუნეების ბეჭედს გადააწყდა.

81 წლის ტომ კლარკმა, თავგადაკლულმა განძის მაძიებელმა, ბეჭედი ჯერ კიდევ 1979 წელს ლითონის მაძიებლის დახმარებით თავის სახლიდან შორიახლოს მდებარე ერთ-ერთ ფერმაში იპოვა. მაშინ მამაკაცს მისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია, თუმცა სხვა ნაპოვნ საგნებთან ერთად მუზეუმში მაინც მიიტანა. იქ მას უთხრეს, რომ ყველა ეს ნივთი არც ისე დიდი ხნის წინ იყო დამზადებული და რამე ღირებულებას არ წარმოადგენდა. ამის გამო მან ისინი ლითონის ქილაში ჩაყარა, სახლში შეინახა და დაივიწყა.

– მაშინ სულ ათი წლის დაწყებული მქონდა ლითონის მაძიებლით განძის ძებნა და ვერ მივხვდი, რომ ის განსაკუთრებული ბეჭედი იყო, ამასთან, გატეხილი და ჩაშავებულიც იყო, – აღიარა კლარკმა.

2011 წელს მამაკაცი ლითონის ქილას, რომელშიც ბეჭედი ინახებოდა, იმ დროს გადააწყდა, როდესაც გარდაცვლილი დედის სახლს ალაგებდა. მან ქილა თავის სახლში წაიღო და ისე შეინახა, რომ შიგნით არც კი ჩაუხედავს.

ბოლოს რამდენიმე თვის წინ მან გადაწყვიტა, ავტოფარეხიდან ყველაფერი ზედმეტი გაეტანა და სწორედ მაშინ დაინახა ბეჭედი. ამჯერად კი ის უკვე მიხვდა, რომ შესაძლოა ბეჭედი უძველესი ყოფილიყო და შემფასებელს მიუტანა. ექსპერტიზამ აჩვენა, რომ ბეჭედი დაახლოებით 670 წლისაა. ის, სავარაუდოდ, XIV საუკუნის შუა წლებშია დამზადებული.

კლარკმა ბეჭდის აუქციონზე გატანა გადაწყვიტა. ვარაუდობენ, რომ ის მინიმუმ 10 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდება.

– ეს იშვიათი და ელეგანტური სამკაულია. ძალიან მინდა, ვიცოდე, ვის ეკუთვნოდა, – აღნიშნა ბრიტანელმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ალკოჰოლიზმის მკურნალობა მცენარეული საშუალებებით (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში ფარულად) „პახმელია“, ზაპოი“, ნერვული აღგზნებულობა, ღვიძლის პრობლემები (ციროზი) და სხვა – მხოლოდ მცენარეული და ფუტკრის პროდუქტებით. ტელ: 599-45-88-66; 597-98-95-99; 557-35-22-65. სერტიფიცირებული ექიმი, ფიტოთერაპევტი ნინო. მისამართი: ჭავჭავაძის 3, აღმაშენებელზე.

შოტლანდიას ტაიმი გავუძელით

2019 წლის იაპონიის მსოფლიო თასზე გამგზავრებამდე ბორჯღალოსნებმა ედინბურგში, სარაგბო არენა „მარფილდზე“, ბოლო რეპეტიცია გაიარეს და შოტლანდიასთან დასკვნით წუთებამდე თამაშში დარჩნენ.

საქართველოს ნაკრები ზედიზედ მეხუთედ ითამაშებს მსოფლიო თასზე და წელს პირველად მოსამზადებელ ეტაპზე ტიერ 1-ის გუნდთან ითამაშა, თანაც 2-ჯერ. 2015 წლამდე ჩვენს გუნდს მოსამზადებელ ეტაპზე მხოლოდ მეორეხარისხოვან ფრანგულ კლუბებთან უწევდა თამაში, 4 წლის წინ კი გასახურებელი მატჩები იაპონიისა და კანადის ნაკრებებთან გამართა.

ამჯერად მთავარ ტურნირზე გამგზავრებამდე ბორჯღალოსნებმა ჯერ სამხრეთაფრიკულ საუზერნ კინგსთან მოსინჯეს ძალები, მერე იყო შოტლანდიის ეროვნული გუნდი და აქედანვე აუღეს ალღო იმ სათამაშო რიტმს, რაც იაპონიაში ელით.

თბილისური მატჩისგან განსხვავებით, ბორჯღალოსნები „მარფილდზე“ თავიდანვე მობილიზებული გავიდნენ და მეტოქეს დიდი უპირატესობის დებიუტშივე მოპოვების საშუალება არ მისცეს. შეცდომები ამჯერადაც იყო, თუმცა არა ისეთი, როგორიც „დინამო არენაზე“. გუნდს 2-ჯერ ჰქონდა ლელოს გატანის რეალური შანსი, ერთხელ მეტოქის დერეფანი მოიგო, ერთხელაც დერეფნის შემდეგ მოლში მოიპოვა ბურთი და ტაიმიც მინიმალური სხვაობით დათმო – 9:10.

სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ბურთის ფლობა მეტოქის სასარგებლოდ იყო 54%-46%-ზე, ხოლო ტერიტორიას ქართველები ფლობდნენ – 53%-47%-ზე; მასპინძლებმა ბურთით ხელში 418 მეტრი მოიგეს, ჩვენ – 384; შოტლანდიამ ხაზი სუფთად 10-ჯერ გაჭრა, საქართველომ 7-ჯერ და გაფუჭებული ბოჭვების თანაფარდობა თითქმის იდენტურია – 29/28-ზე, მაგრამ კლასით უკეთესმა მეტოქემ ყველა შეცდომა გამოიყენა და საბოლოოდ 36:9 იმარჯვა.

მატჩის დებიუტში შოტლანდია ორჯერ დაჯარიმდა, რამაც ქართველებს შეტევის საშუალება მისცა და მე-6 წუთზე ლელოს გატანის შანსიც იყო, როდესაც ბექა გიგაშვილმა კონტაქტით 2 მბოჭავი ჩამოიშორა და ხაზი გაჭრა, მაგრამ 5-მეტრიანთან ჯონი გრეიმ შებოჭა და შემტევს ბურთი წინ დააგდებინა. პასუხად მეტოქემ ბურთი ფრთაზე სწრაფად ჩაათამაშა, მაგრამ თომი სიმორის 5-მეტრიან წყვეტილთან ბურთი დაუვარდა.

შოტლანდია თბილისური მატჩის მსგავსად ხშირად თამაშობდა ფეხით, რაშიც ჩვენც ავყევით და სწრაფი კონტრშეტევის შემდეგ ლელო მივიღეთ. ბლეარ ქინგჰორნმა, დარსი გრემმა და სემ ჯონსონმა ბურთი სწრაფად გაითამაშეს და ალი პრაისი ლელოში შეუშვეს. საქართველომ 2 წუთში უპასუხა, შოტლანდია სოსო მათიაშვილის ფეხით თამაშის შემდეგ დაჯარიმდა და თედო აბჟანდაძემ გაიტანა.

23-ე წუთზე მასპინძლებმა მაღალ ტემპში კიდევ ერთხელ შემოგვიტიეს, ადამ ჰეისთინგსმა ბურთი ფეხით მარცხენა ფრთაზე ჩაკიდა, გრემი მათიაშვილმა შებოჭა, მაგრამ მან პასის გაკეთება მაინც მოასწრო და ქინგჰორნმა მე-2 ლელო გაგვიტანა. მირიან მოდებაძისა და ბექა გორგაძის გარღვევების შემდეგ შოტლანდია დაჯარიმდა და აბჟანდაძე ისევ ზუსტი იყო, 30-ე წუთზე კი თედომ მესამედაც გაიტანა და ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანა – 9:10.

მალე რომენ პუატმა მიხეილ ნარიაშვილი და ზანდერ ფერგიუსონი გაასინბინა, 35-ე წუთზე კი საქართველოს დაწინაურების კარგი შანსი ჰქონდა, მათიაშვილმა ღამაზი მოძრაობებით ხაზი გაჭრა და 5-მეტრიან წყვეტილთან ოფლოუდის ამოგდებას ცდილობდა, მაგრამ ბურთი მცველმა ჩაჭრა და მასპინძლები 100%-იანი ლელოსგან იხსნა.

ბორჯღალოსნებმა მე-2 ტაიმი აქტიურად დაიწყეს, 2-ჯერ გაჭრეს ხაზი, მეტოქე წნეხში მოაქციეს და 5 წუთი მათ ნახევარზე გაატარეს, მაგრამ იქიდან უქულოდ დაბრუნდნენ. შოტლანდიამ ბურთი რომ მოიპოვა შეტევის ტემპი ისევ გაზარდა და 49-ე წუთზე სემ ჯონსონმა მე-3 ლელო გაიტანა, რასაც ამჯერად ზუსტი გარდასახვა მოყვა. ამავე ეპიზოდში სინბინით დაისაჯა ზურაბ ძნელაძე. აბჟანდაძეს ლელოზე პასუხის გაცემა 53-ე წუთზე შეეძლო, მაგრამ ამჯერად მისი ჯარიმა არაზუსტი იყო.

ბორჯღალოსნებმა დასკვნით წუთებში შეცდომებს მოუხშირეს, რაც მეტოქემ არ გვაპატია და 12 წუთში 3 ლელოს გატანა მოახერხა, რითაც საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 36:9.

ეს თამაში 116-ე იყო დავით კაჭარავასთვის, რომელმაც მერაბ კვირიკაშვილს გადაასწრო და ბორჯღალოსნების კვართით ჩატარებული მატჩების რაოდენობით დაწინაურდა.

საქართველოს ნაკრები შოტლანდიიდან პირდაპირ იაპონიაში გაემგზავრა, ამასთან, შევსებაც მიიღო – გუნდს მამუკა გორგოძე შეუერთდა.

ბორჯღალოსანთა თავკაცმა მილთონ ჰეიგმა შოტლანდიასთან გამართული მატჩი შეაფასა და აღნიშნა, რომ ეს სწორედ ის არის, რაც საქართველოს ნაკრებს განვითარებისთვის ესაჭიროება.

მილთონ ჰეიგი:

– ტიერ 1-ის გუნდთან ზედიზედ 2 თამაში, მორაგბეებისთვის ძალიან კარგი შესაძლებლობაა. ჩვენ მეტი ასეთი შესაძლებლობა გვჭირდება, რათა მეტად გავიზარდოთ. თამაშის პირველ ნახევარში უკეთ ვითამაშეთ და ანგარიშზეც აისახა. მიმაჩნია, რომ შოტლანდიამ ფიზიკურად ვერც ერთ მატჩში ვერ გვაჯობა. უბრალოდ, ისინი გადაწყვეტილებებს ჩვენზე უკეთ ასრულებდნენ, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. მეტოქის შეტევა ბევრად უკეთესი იყო და ქულებს იღებდა. ეს სწორედ ის არის, რაც მსოფლიო თასის წინ გასახურებელ მატჩებში გვჭირდებოდა.

ახალზელანდიელი სპეციალისტი ფიქრობს, რომ ნაკრების პროგრესისთვის აუცილებელია ფრანჩაიზის შექმნა, რომელიც კვირიდან კვირამდე ძლიერ ჩემპიონატში ითამაშებს:

– გამოცდილებისთვის ეს თამაშები ძალიან კარგი იყო, მაგრამ განვითარებისთვის ჩვენ გვჭირდება ფრანჩაიზის შექმნა, რომელიც რეგულარულად ითამაშებს მაღალი დონის გუნდებთან. ნაკრების ის ბიჭები, რომლებიც საქართველოში თამაშობენ, უდიდეს გამოცდილებას შეიძენენ. წარმოიდგინეთ რამდენად დიდი იქნება გაუმჯობესება, თუ ისინი კვირიდან კვირამდე მაღალი დონის მატჩებს ჩაატარებენ. ფრანჩაიზის სახით დიდ ტურნირებში მონაწილეობით, ყველა ვითარდება. მაგალითად შოტლანდიელები, რომელთაც უდიდესი გამოცდილება აქვთ, მუდმივად ახერხებდნენ წნეხის შექმნას. ჩვენ ვუტევდით, ფაზებს ვკინძავდით, ამ დროს პატარა შეცდომას ვუშვებდით და გონზე რომ მოვდიოდით, უკვე კარს უკან ვიდექით გარდასახვის მოლოდინში და იმაზე ვფიქრობდით, რატომ მოხდა ასე.

როგორც გითხარით, გუნდი შოტლანდიიდან პირდაპირ იაპონიაში წავიდა, სადაც მსოფლიო თასი 20 სექტემბერს დაიწყება, ხოლო ბორჯღალოსნები პირველ მატჩს 23 სექტემბერს უელსის ნაკრებთან გამართავენ, 29 სექტემბერს ურუგვაის ვეთამაშებით, 3 ოქტომბერს ფიჯის ვხვდებით, ჯგუფურ ეტაპს კი 11 ოქტომბერს ავსტრალიასთან ჯახით ვასრულებთ.

პ.ს. ორგანიზატორებს შეეშალათ და საქართველოს ამჟამინდელი ჰიმნის ნაცვლად ჩვენი ქვეყნის ძველი ჰიმნი „დიდება“ გაუშვეს, რის გამოც შოტლანდიის რაგბის კავშირმა საქართველოს ბოდიში მოუხადა:

– ეს შემთხვევა 2 კავშირს შორის კომუნიკაციის პრობლემის შედეგი იყო და ჩვენ დაუყოვნებლივ მოვუხადეთ ბოდიში ქართულ დელეგაციას. ჩვენი პატივისცემის გამოსახატად საქართველოს სახელმწიფოს თანამედროვე ჰიმნი მატჩის შემდგომ მიღებაზე დავუკარით. შოტლანდიელებს საქართველოს რაგბის კავშირთან შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს და ისინი მადლობელები დარჩნენ ჩვენი საპატიო პასუხის გამო და აღნიშნეს, რომ მსგავსი თავაზიანობა აქამდე არავის გამოუჩენია.

ფაჩულია გოლდენ სტეიტში მუშაობას შეუდგა

ზაზა ფაჩულიამ საკალათბურთო კარიერა დაასრულა და ყოფილი გუნდის გოლდენ სტეიტ უორიორსის კონსულტანტი გახდა, გუნდის, სადაც 2 საჩემპიონო ბეჭედი მოიპოვა. საქართველოს ნაკრების ყოფილ კაპიტანს კალიფორნიულ კლუბში პირველი სამუშაო დღე უკვე ჰქონდა და, ცხადია, იქაური ჟურნალისტები საქმეს შეუდგნენ.

ზაზა ფაჩულია:

– შესანიშნავი დღე და მშვენიერი დროა უორიორსში ახალი ეტაპის დასაწყებად. აქაურობა რამდენიმე თვის წინ დავტოვე და, მიუხედავად იმისა, რომ დეტროიტში ვთამაშობდი, ამ პერიოდს ხანგრძლივი შვებულება შეგვიძლია დავარქვათ. შესანიშნავია დაბრუნება. ძალიან ბევრი ნაცნობი სახეა, თან ახალ სამსახურში ყოფნის პირველი დღე მაქვს და ძალიან მიხარია.

გასახდელში შევიარე და იქ ძალიან ბევრი ახალგაზრდა კალათბურთელის სახელია. ზოგიერთს ადრეც უთამაშია ლიგაში, ზოგისთვის ეს პირველი სეზონი იქნება. შესანიშნავი შანსი აქვთ, რომ გამოიყენონ ეს მომენტი და ჩემპიონის კალიბრის გუნდში თამაშისგან სიამოვნება მიიღონ.

დარწმუნებული ვარ, სტივ კერი ამ კალათბურთელებს სწორად გამოიყენებს და მომავალ წელს კარგი სეზონი გვექნება.

ამასთანავე, გუნდში არიან კალათბურთელები გრინი, კარი და ტომპსონი. კლეის ვესაუბრე, ბევრ რამეზე ვილაპარაკეთ, თან ბეისბოლის თამაშზე მისი საცეკვაო მოძრაობებიც ვნახე და ერთი რამ დარწმუნებით ვიცი, თავს შესანიშნავად გრძნობს.

ჯერჯერობით არ წარმომიდგენია კალათბურთის, ვარჯიშის გარეშე ცხოვრება. ამას ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვაკეთებდი. სიმართლე რომ გითხრათ, თუ საჭირო გახდა, რამდენიმე წუთის სათამაშოდ მზად ვიქნები. თუმცა ვიცი, რომ ეს ჩემთვის ტრანზიციის პერიოდია. ჯერ ბოლომდე არ ვარ მზად კონსულტანტის პროფესიისა და მოვალეობებისთვის, თუმცა იმედი მაქვს, რომ დრო ამაში დამეხმარება. ძალიან მადლობელი ვარ, რომ მივიღე შანსი, ძალიან წარმატებულ კლუბში ვიმუშაო.

შეგახსენებთ, რომ ზაზა ფაჩულიამ ნბა-ში 16 სეზონი გაატარა და ამ დროის მანძილზე 1.171 მატჩში ითამაშა. ზაზამ ჩემპიონობა 2-ჯერ მოიპოვა, ორივე შემთხვევაში გოლდენ სტეიტთან ერთად. ბოლო სეზონი დეტროიტ პისტონში გაატარა და კარიერაც დაასრულა.

ბარსელონის ლიდერები ნეიმარისთვის ფულს აგროვებდნენ

სატრანსფერო ფანჯარა ისე დაიხურა, ნეიმარის ხმაურიანი ტრანსფერი არ შედგა, მაგრამ ესპანეთსა და საფრანგეთში მასზე ისევ ბევრს წერენ და ლაპარაკობენ.

როგორც ირკვევა, ბარსელონამ შესაძლებლობების ფარგლებში მართლაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი დაებრუნებინა. ესპანური გამოცემები წერენ, რომ კატალონიური გრანდის რამდენიმე ვარსკვლავი მზად იყო, კლუბს ნეიმარის ტრანსფერის დაფინანსებაში დახმარებოდა. ბარსას ლიდერები ფიქრობდნენ, რომ ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად ბრძოლაში ბრაზილიელის დაბრუნება აუცილებელი იყო და შეფებს ფულის შეგროვება შესთავაზეს.

გამოცემა „სპორტი“ წერს, რომ ბარსას ხელმძღვანელებმა ამ იდეაზე უარი თქვეს. კატალონიელებს ბრაზილიელის შეძენის მომდევნო შანსი ზამთარში მიეცემათ, მაგრამ ბარსას პრეზიდენტი ხოსეპ მარია ბართომეუმ იანვარში ნეიმარის მეგა-ტრანსფერი გამორიცხა.

ბარსელონის პრეზიდენტმა ისიც თქვა, რომ ნეიმარის ტრანსფერზე ფიქრი მხოლოდ მომავალ ზაფხულს შეიძლება, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ პარი სენ-ჟერმენი ისევ ასტრონომიულ თანხას არ მოითხოვს. ბართომეუმ ისიც თქვა, რომ ბარსას პსჟ-სთვის ნეიმარის სანაცვლოდ კოუტინიო ან დემბელე არ შეუთავაზებია.

იტალიური სპორტული მედიის ინფორმაციით კი ბარსელონასა და იუვენტუსს შორის საინტერესო გარიგება იგეგმება.

ბარსა და იუვე აგვისტოშივე აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს ფეხბურთელების გაცვლაზე, რომლის მიხედვითაც იუვენტუსიდან ბარსელონაში ემრე ჯანი უნდა გადასულიყო, კატალონიური გრანდიდან ტურინში – ივან რაკიტიჩი.

კლუბები ძირითად საკითხებზე უკვე შეთანხმებულებიც იყვნენ, მაგრამ გაცვლა მაინც არ შედგა, რადგან ბარსელონას სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღემდე ჰქონდა იმედი, რომ ნეიმარს გადაიბირებდა და რაკიტიჩიც პარი სენ-ჟერმენში გადასვლის ერთ-ერთი კანდიდატი იყო. რაკი ნეიმართან დაკავშირებით მოლაპარაკებები ბოლო საათამდე გაიწელა, კატალონიელებს აღარ დარჩათ იმის დრო, რომ იუვენტუსთან მოლაპარაკებები ბოლომდე მიეყვანათ.

ფაქტია, რომ ტურინელებს ემრე ჯანი აღარ სჭირდებათ. მაურიციო სარიმ გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი ჩემპიონთა ლიგის განაცხადში არ შეიყვანა. როგორც ფეხბურთელი ამბობს, ტურინში მას საჩემპიონთალიგო განაცხადში შეყვანას დაჰპირდნენ, მაგრამ სიტყვა არ შეასრულეს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სიჯანვოხდი



1. ნიგერიის დედაქალაქი; 2. ჯარი; 3. სტადიონი ბრაზილიაში; 4. გარეული ვირი; 5. სასმისი; 6. წილი ბიზნესში; 7. ალგორითმული ენა; 8. ქართული ბანკი; 9. თევზის კვერცხების გროვა; 10. იგივეა, რაც პლატფორმა; 11. ფელინის ფილმი; 12. იაპონური ანბანის გრაფიკული ფორმა; 13. საფრანგეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 14. არგენტინული ცეკვა; 15. იუპიტერის თანამგზავრი; 16. კათოლიკე ბერების ორგანიზაცია; 17. ... ხერგიანი; 18. წელიწადის მეთორმეტელი; 19. სპორტული ნავი; 20. ამერიკელი მწერალი (XX ს.); 21. „ოთარაანთ ქვრივის“ პერსონაჟი; 22. სპილენძის, ნიკელისა და თუთიის ერთგვარი შენადნობი; 23. ... კოკოჩაშვილი; 24. ნეგროიდული რასის წარმომადგენელი; 25. თავაზიანი მიმართვა იაპონიაში; 26. სოფელი თერჯოლის რაიონში; 27. ნაზბეწვიანი ცხვრის ჯიში; 28. პროგრესის საპირისპირო; 29. „... მარაბდელი“; 30. ... ნახტომი (ასტრ.).

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

პროსვორდი ა

შვეულად: 1. ალებასტრი; 2. ფეიქარი; 3. სინუსი; 4. აქატი; 5. ნიანგი; 11. მიზანი; 12. კატარი; 14. გუნო; 16. ლიეტუვა; 17. ქარაგმა; 19. ბერინგი; 21. ქორქი; 22. ატამი.

თარაზულად: 6. კლარნეტი; 7. სექვოია; 8. ტვენი; 9. მადონა; 10. სეიმი; 13. გრიგი; 15. ალადასტური; 18. მიკრობი; 20. არნო; 21. ქაბული; 23. კატამარანი; 24. მუთაქა.

პროსვორდი ბ

შვეულად: 1. პედელი; 2. ოპტიკა; 3. კოქტო; 5. დოკი; 6. კაჭიჭი; 8. სიესტა; 11. ანჩისხატი; 13. ბედლამი; 14. იოკასტე; 15. ფილიპსი; 19. თორი.

თარაზულად: 1. პინაკოთეკა; 4. ბოტდეკი; 7. დეკრეტი; 9. ტარიელი; 10. იანკი; 12. ვესტერნი; 16. მარიჯანი; 17. ედისონი; 18. პალეოლითი; 20. ტიბალტი; 21. გიტი; 22. დანსინგი.

შედეგები

7 სექტემბერი

ფეხბურთი

ეჩ-ჯეი. მესამეჩვენი ეტაპი

კოსოვო-ჩეხეთი	2:1
ინგლისი-ბულგარეთი	4:0
ისლანდია-მოლდოვა	3:0
ლიტვა-უკრაინა	0:3
სერბეთი-პორტუგალია	2:4
თურქეთი-ანდორა	1:0
საფრანგეთი-ალბანეთი	4:1

ჩოგბურთი

ამერიკის ღია პირველობა

ქალები – ფინალი

ანდრეესკუ-ს.უილიამსი	6:3;7:5

კალათბურთი

მსოფლიო ჩემპიონატი

ავსტრალია-დომინიკანები	82:76
ბრაზილია-ჩეხეთი	71:93
საფრანგეთი-ლიტვა	78:75
აშშ-საბერძნეთი	69:53
ა.ზელანდია-იაპონია	111:81
კანადა-იორდანია	126:71
თურქეთი-ჩერნოგორია	79:74
გერმანია-სენეგალი	89:78

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

9 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9636

ევრო — 3.2683

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6440

100 რუსული რუბლი — 4.4981

ამინდის პროგნოზი 9 სექტემბერი

ნინო ქათამაძე: „მიყვარს რუსი მსმენელი“



ეს განცხადება მომღერალმა ნინო ქათამაძემ უკრაინული ტელეარხისთვის „1+1“ მიცემული ინტერვიუს დროს გააკეთა.

ჟურნალისტის კითხვაზე, რატომ თქვა უარი რუსეთში კონცერტების ჩატარებაზე, ნინო ქათამაძემ აღნიშნა, რომ მისთვის ეს ძალიან სათუთი, დელიკატური და მნიშვნელოვანი თემაა:

– ეს არის ფაქიზი, ფრთხილი, ძალიან მნიშვნელოვანი თემა არა მხოლოდ ჩემს მუსიკალურ ცხოვრებაში, არამედ ორ ქვეყანას, ხალხებს შორის ურთიერთობებში. ჩემი გადაწყვეტილების მიუხედავად, მინდა ვთქვა, რომ ძალიან მიყვარს რუსი მსმენელი.

ტორესა მოსი „მთავარი არხის“ თანამშრომელი გახდა

მწერალი ტორესა მოსი „მთავარი არხის“ თანამშრომელი გახდა. მან ტელეკომპანია „იმედი“ რამდენიმე დღის წინ დატოვა:

– ვიცი, რომ ბევრი ადამიანი ღელავდით ჩემს მომავალზე. ჰოდა, მგონია რომ თუ სადმეა ჩემი ადგილი, „მთავარ არხზეა“ და მადლობა ნიკას, რომ ამ შესაძლებლობას მაძლევს.

სხვა დეტალებს მოგვიანებით გაცნობებთ. ჩვენ მოვიგებთ ყველაფერს, რისი მოგებაც შეიძლება და იმასაც, რაზეც შეიძლება ფიქრობდეთ, რომ შეუძლებელია.

ამ განწყობით ვარ და ეს მხოლოდ დასაწყისია.

დიანა ღურწკაია წინასაარჩევნო სიმღერისთვის გააკრიტიკეს

მომღერალი დიანა ღურწკაია წინასაარჩევნო სიმღერის შესრულებისთვის გააკრიტიკეს.

– „მე ვერ ვხედავ სხვა კანდიდატებს“ – ასეთია სიმღერის სახელწოდება, რომელიც დიანა ღურწკაიამ მოსკოვის სათათბიროს არჩევნებში მმართველი პარტიის კანდიდატ ანდრეი მეტელსკის მხარდასაჭერად გამართულ კონცერტზე შეასრულა.

ვიდეოჩანაწერი ინტერნეტში ანდრეი მეტელსკის საარჩევნო შტაბმა გაავრცელა, რის გამოც რუსმა და ქართველმა ინტერნეტმომხმარებლებმა დიანა ღურწკაიაც გააკრიტიკეს და კონცერტის ორგანიზატორებიც.

ნიკოლო მიწიშვილის შვილი გარდაიცვალა

„ცისფერყანწელთა ორდენის“ წევრის, პოეტ ნიკოლო მიწიშვილის შვილი ილამაზ მიწიშვილი გარდაიცვალა.

ინფორმაცია ისტორიკოსმა ბუბა კუდავამ გაავრცელა:

– თუ იცნობდი, მილიონობით ადამიანისგან გამოარჩევდი.

თუ მეგობრობდი, ულევ სითბოს, უსაზღვრო სიყვარულს, დიდ ცოდნას, ცოცხალ უანგარობასა და უამრავ პოზიტივს გჩუქნიდა.

უიშვიათეს კაცს იშვიათი სახელი მამამ დაარქვა მეგობრის ილამაზ დადეშქელიანის პატივსაცემად.

6 წლის იყო, როცა მამა დაუხვრიტეს, დედა კი ხანგრძლივი ვადით გადაუსახლეს. მაინც ვერ შეძლო ბედისწერამ, უკიდეგანო სიკეთის გარდა, რამეს გაევლო მის გულში.

აი, ამ პაპა კოტემ გაზარდა. სულ-სულ პირველი ალბათ ის დახვდება იქ.

ბედნიერი ვარ, რომ მთელ დედამიწაზე ერთ-ერთი ყველაზე დიდსულოვანი ადამიანი ჩემს შვილში აგრძელებს სიცოცხლეს.

ბატონი ილამაზი

საუკუნოდ იყავნ ხსენება...

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

9 სექტემბრისთვის

ვერძი – დღეს გარისკვას ძალზე ცუდი შედეგები მოჰყვება. ვითარება თქვენგან სიმამაცესა და შეუპოვრობას მოითხოვს. ამის მიუხედავად, რეზულტატი არასახარბიელო აღმოჩნდება. **კურო** – დღის პირველი ნახევარი ფინანსური კუთხით წარუმატებელია. ეცადეთ, ემოციების გამოვლენისაგან თავი შეიკავოთ. ერიდეთ გარისკვას. **ტყუპები** – ახალი ურთიერთობებისათვის არახელსაყრელი პერიოდია. მაცდუნებელ წინადადებას არ დათანხმდეთ. **კირჩხიბი** – ტყუილუბრალოდ ნერვებს ნუ აიშლით. ნუ იაქტიურებთ და ნუ იჯიუტებთ. მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. **ლომი** – გადაწყვეტილების მიღებისას სიმტკიცე გმართებთ, თუმცა სასურველ შედეგს ნუ დაელოდებით. მცდარი ინფორმაცია უსიამოვნების მიზეზი გახდება. **ქალწული** – პლანეტების მფარველობას გრძნობთ. ახალი კავშირების დასამყარებლად კეთილისმყოფელი დღეა. **სასწორი** – წინაღმდეგობრივი დღეა. დღის პირველ ნახევარში დიდია მოტყუებისა და ცდუნების ალბათობა. საღამოს შედარებით სიმშვიდეს მოიპოვებთ. **ღრიანკალი** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. მთავარია, დაწყებული საქმე დაამთავროთ და სამომავლოდ არ გადადოთ. ნათესავებთან ურთიერთობა უკეთესობისკენ იცვლება. **მშვილდოსანი** – თავს ნურავის მოატყუებინებთ. ფხიზლად იყავით და თავი შეიკავეთ მკვეთრი გამოთქმებისაგან. ერიდეთ ავანტიურისტებს. **თხის რქა** – დღის პირველ ნახევარში თქვენი ფინანსური მდგომარეობა საკმაოდ გაუმჯობესდება. ამის მიუხედავად, საღამოს დეპრესია მოგეძალებათ. **მერწყული** – დღეს გაცნობილი ადამიანი თქვენს ცხოვრებაში, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი კუთხით. **თევზები** – სასიცოცხლო ძალა გემატებათ. ბევრი თქვენგანი წარმატებას მიაღწევს როგორც კარიერაში, ისე პირად ცხოვრებაში.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ცოლი ქმარს ეშმაკური ღიმილით ეუბნება:

– ძვირფასო, მალე რომანტიკული საღამო და სექსი უმშვენიერეს ქალთან გელის.

– რა, მივლინებაში მიდიხარ?

●●●

თავგატეხილი მამაკაცი საავადმყოფოში მიიყვანეს. ექიმი ეკითხება:

– ცოლიანი ხართ?

– არა, ავარიაში მოვყევი...

●●●

მაღაზიიდან მობრუნებულ ქმარს ცოლი საყვედურობს:

– ეს ძეხვი რატომ იყიდე? ამას ხომ მხოლოდ ძაღლებს აჭმევენ.

– კარგი, ნუ იყეფები!

●●●

დილის ხუთის ნახევარზე ტელეფონი რეკავს:

– ალო, ეს ცხოველთა დაცვის საზოგადოებაა?

– დიახ და ასე ადრიანად ასეთ სახედარს ვინ აწყენინა?

●●●

ქალი კაცს ეკითხება:

– ჩემგან რა გსურთ?

– არაფერი!

– მაშინ ჩემს სურვილებზე გადავიდეთ!

●●●

მოსამართლე ქალს ეკითხება:

– მოგვიყევით, როგორ გაგაუპატიურეს.

– საშინლად, ეს გაუპატიურება კი არა, ნამდვილი ტანჯვა-წვალება იყო!!!

●●●

სამარშრუტო ტაქსში მოხუცი ქალი მძღოლს ეკითხება:

– შვილო, ბაზართან ხომ გამიჩერებ?

– ბაზარი არ არის, ბებო!

– როგორ თუ არ არის? გუშინ რომ იყო...

●●●

საზღვარგარეთ ცოლმა ქმარი მაღაზიაში გაგზავნა და ღორის ნეკნების ყიდვა დააბარა. მალე ქმარი მობრუნდა და მოუტანა. ცოლი ეკითხება:

– კი მაგრამ, შენ ხომ მათი ენა არ იცი და როგორ მოახერხე ყიდვა?

– მაისური ავიწიე, ნეკნების ადგილი მივუთითე და ღრუტუნი დავიწყე.

– აუ, წადი და კვერცხები და ძეხვიც მოიტანე, რა!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მეორადებში იაფად ნაყიდი ვაზა რელიკვია აღმოჩნდა

დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა მეორადი საქონლის ბაზრობაზე შემთხვევით ძალიან იაფად შეიძინა ჩინური ვაზა.

ნივთის შემძენმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, ვაზაში ერთი ფუნტი სტერლინგი გადაიხადა. მან ვაზას ფოტოსურათი ინტერნეტში განათავსა, დაბალი ფასი დაადო და გაოცებული დარჩა, როდესაც აურაცხელი რაოდენობის გამოხმაურება მიიღო. პოტენციური მყიდველები იმაზე გაცილებით მეტ თანხას სთავაზობდნენ ნივთის პატრონს, ვიდრე მან თავად მოითხოვა.

მამაკაცმა ვაზა ვაჭრობიდან მოხსნა და აუქციონის სახლში ექსპერტებთან მიიტანა შესაფასებლად. მათ ყურადღებით დაათვალიერეს ნივთი და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ის, სავარაუდოდ, ჩინეთის ცინის დინასტიის იმპერატორ ციანილუნასთვის იყო დამზადებული, რომელიც ქვეყანას 1735-დან 1796 წლის ჩათვლით მართავდა.

ვაზას გასაყიდად ნოემბერში გასამართ აუქციონზე გამოიტანენ. ვარაუდობენ, რომ ის 80 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდება.

სინდი კროუფორდის ქალიშვილი ვოგის გარეკანზე მოხვდა

ამერიკელი სუპერმოდელის სინდი კროუფორდის ქალიშვილი კაია გერბერი, რომელიც 3 სექტემბერს 18 წლის გახდა, პირველად მოხვდა მოდური ჟურნალის ბრიტანული ვერსიის გარეკანზე.

ოქტომბრის ნომრისთვის გოგონამ სურათები შავ-თეთრ ლაქებიან სამოსში გამოწყობილმა გადაიღო, თავზე კი ასეთივე ფერებში გადაწყვეტილი თავსაბურავი ახურავს. სტილისტებმა კი ამ ყოველივეს მასიური მარგალიტებით შემკული საყურეები დაუმატეს.

სხვა სურათებში კაიას შავი ბადის ტოპი შიშველ სხეულზე აცვია.

ჟურნალის ახალ გამოცემაში კაია გერბერი საუბრობს იმაზე, თუ როგორ გაიზარდა ციფრულ სამყაროში და როგორ გახდა ახალი თაობის სახე.

ქლოი კარდაშიანს ღია პირის გამო დასცინეს



კიმ კარდაშიანის უმცროსი და ქლოი სოციალურ ქსელებში დაცინვის ობიექტად იქცა ტუჩებში გადამეტებული ოდენობით ფილერების გამო, რაც მას პირის ბოლომდე დახურვის საშუალებას არ აძლევს.

35 წლის ტელევარსკვლავმა ინსტაგრამში გამოაქვეყნა სელფი, რომელშიც ის ღია პირით პოზირებს. ხელმომწერებმა ის ბიუთიპროცედურების გადამეტებით გამოყენებისთვის გააკრიტიკეს.

– ღმერთო ჩემო, რა დაგემართა? – დაწერა ერთ-ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა.

– მომიტევე, მაგრამ ის, რაც შენ ტუჩებს ჭირს, უკვე მეტისმეტია, ისინი ცუდად გამოიყურება, – დაწერა კომენტარში მეორემ.

– შენ ტუჩებში იმდენი ფილერია, რომ პირის დახურვას ვეღარ ახერხებ, – დაამატა მესამემ საკუთარ კომენტარში.

ქლოი კარდაშიანს კომენტარებისთვის არ უპასუხია, თუმცა ყველა მათგანი წაშალა.

ელისაბედ II-მ ამერიკელი ტურისტები გააშაყირა

დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ II-მ ამერიკელი ტურისტები, რომლებმაც ის ვერ იცნეს, გააშაყირა. ეს იმ დროს მოხდა, როდესაც ის შოტლანდიის ციხესიმაგრე ბამორალის შემოგარენში სეირნობდა.

დედოფალი მხოლოდ ერთი მცველის თანხლებით იყო გამოსული სასეირნოდ, როდესაც მასთან ამერიკელი ტურისტები მივიდნენ და ჰკითხეს, ადგილობრივი ხომ არ იყო. ელისაბედ II-მ მათ დაუდასტურა და მაშინ მათ ჰკითხეს, ოდესმე დედოფალს ხომ არ შეხვედრია.

– მე არა, აი ეს პოლიციელი – კი, – უპასუხა დედოფალმა და თავით თავის თანმხლებზე მიანიშნა.

უცნობი დარჩა, საბოლოოდ მიხვდნენ თუ არა ამერიკელი ტურისტები, რომ მათ წინაშე თვით დედოფალი იდგა.

ექიმმა პაციენტს ყურიდან ცოცხალი ფუტკარი ამოულო

ვიეტნამში ექიმმა პაციენტის ყურიდან ცოცხალი ფუტკარი ამოიყვანა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა.

კადრებში ჩანს, როგორ ათვალიერებს პაციენტის ყურის ნიჟარას სპეციალისტი, რომელიც მასთან ყურში ძლიერი ტკივილების ჩივილით მივიდა. შემდეგ კი მას ყურიდან მსხვილი ცოცხალი ფუტკარი ამოჰყავს.

ექიმმა აღნიშნა, რომ მწერი პაციენტის ყურის არხში იმყოფებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოხვოხდი



თარაზულად: 5. ავადმყოფის ორგანოების ხელით გასინჯვა; 6. ფორტეპიანოს ავტომატურად დამკვრელი მოწყობილობა; 8. ზოგი მცენარის სქელი, სურნელოვანი წვენი; 10. კარელია-ფინეთის ხალხური ეპოსი; 11. ერთად აკინძული სურათების კრებული; 13. ვულკანის ჩაღრმავება; 16. სეიშელის კუნძულების დედაქალაქი; 18. ცირკის მოედანი; 19. ნაყოფიერების ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 21. თარაშ ემხვარის ცხენი; 22. რისამე დამახასიათებელი ნიშანი; 23. ტროპიკული გიგანტური ხე.

შვეულად: 1. მაგნიტური ნაკადის საზომი ერთეული; 2. ... და ქარიბდა; 3. ოპტიკური ხელსაწყო ქვემეხის დამიზნების დასაზუსტებლად; 4. ერთგვარი დარაბა ან შტორი; 7. მინანქარი; 9. ზღვის დიდი კიბო; 12. ობობისებრი ცხოველები; 14. სულდგმული ქმნილება; 15. ერთგვარი ტკბილეული; 17. შარდმჟავის მარილები; 20. სატრფიალო პოეზიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში.

შეადგინა ოლივერ კოხიამ